პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია	მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.	ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.	ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 261 სამშაბათი, 13 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მ. ნ. № 261

დღიური

რკინის გზელთა გაფიცვა კრაკოვში ... ბულგარეთში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტური და გლეხთა პარტია ერთად გამოდიან.

ინგლისში და საფრანგეთში მომწიფდა საკითხი საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის.

ლოზანაში გრძელდება მოწმეთა დაკითხვა ამხ. ვოროვსკის მკვლელობის შესახებ.

თავისი ბინიდან გაიქცა გერმანიის კრონპრინცი.

შესაძლებელია გერმანიის მთავრობის სათავეში ჩადგეს ვირტი.

სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე,

დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი პ. სახაშვილი.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 16 ნოემბერს.

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვათ საკითხი

„კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის“.

მოხსენებას უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგებისათვის გააკეთებს ამხ. მიასნიკოვი პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე.

დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

ტფილისის საბჭოთა არჩევნებისათვის

ტფილისის საბჭოს ამრჩევლებს

ამხანაგებო და მოქალაქენო!

მენშევიკების დამხობის შემდეგ თბილისის მშრომელთ მეოთხეჯერ ეძლევა შემთხვევა საბჭოში თავისი დეპუტატების არჩევით გამოარკვიონ თავისი ნებისყოფა და მიუთითონ იმ გზაზე, რომლითაც სურთ მათ უკეთესი მომავლისაკენ წასვლა.

ტფილისის საბჭოს სამივე წინანდელი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა კომუნისტური იყო. ტფილისისა და მაზრის მშრომელებმა თავისი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობა ჩააბარეს კომუნისტურ პარტიას, რადგან მასში და მხოლოდ მასში ხედავდენ მშრომელთა ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს, მუშათა საქმისათვის მტკიცე მებრძოლს, გამოცდილ ბელადს, რომელსაც გაბედულათ, მედგრათ მიყავს პროლეტარიატი გამარჯვებისაკენ, კომუნიზმისაკენ. როცა თვალს ვადევნებთ ახლო წარსულს, როცა თბილისში განუყოფლად ბატონობდენ მენშევიკები და ვადარებთ მას დღევანდელ დღეს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის მიღწევები, რომლებიც ეკუთვნიან უკანასკნელ წლებს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

მართლაც რა დახვდა აქ, თბილისში, საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას.

ნაციონალური ქიშპობა, განუწყვეტელი ომები როგორც მეზობლებთან, ისე ქვეყნის შიგნით განაპირა რაიონებთან და ანტანტის თავხედური თარეში, სრული ეკონომიური დაშლა, ხალხის დოვლათის უკანასკნელი ნაშთების შეუწყალებლათ დატაცება, არავითარი მშენებლობა, არავითარი ცდა თუნდაც ერთი რომელიმე მომწიფებული სამეურნეო საკითხის გადაჭრის. მხოლოდ ჯუღელის დამსჯელი ექსპედიციების ველური თარეში, კიდიის განსაკუთრებული რაზმის თავგასულობა, ნოე რამიშვილის ჟანდარმული ღონისძიებანი, „ქალაქის მამის“ ჩხიკვიშვილის სიმხეცე.

ყველაფერი ეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ალგავა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა.

ნაციონალური ზავი, ჩვენი ქვეყნის შემადგენელ მრავალრიცხოვან ერების საქმიანი თანამშრომლობა, აი რა იყო გასაბჭოების პირველი შედეგები.

ჩვენ უკვე აღარ ვიკეტებით ნაციონალურ ჩარჩოებში, ჩვენ ჩვენი ინტერესები შეუერთეთ მთელი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლას და ცხოვრებას. გერმანიის რევოლიუცია ჩვენი საკუთარი, ჩვენი სასიცოცხლო ახლო საქმეა. გულუხვათ, დაუშრეტელ მდინარესავით მოდის შემოწირულებები გერმანიის მუშათა დახმარების ფონდში, ტფილისის ყველა მშრომელები, როგორც ერთი კაცი, გამოსთქვამენ სასტიკ პროტესტს და აღშფოთებას იმპერიალისტების და ფაშისტების თავხედური შეტევის გამო მუშათა კლასზე. ტფილისის საბჭო ყოველთვის პირველ რიგებშია.

იმავე დროს, არის რა დიდი საერთაშორისო ოჯახის წევრი, ტფილისის საბჭო მთელი კომუნისტურ პარტიასთან ერთად მტკიცედ დარწმუნებულია იმაში, რომ ძმობა ერებს შორის ემყარება არა უმცროს და უფრო სუსტების დამორჩილებაზე უფროსის და უფრო ძლიერების მიერ, საერთო თანასწორ ღონისძიებებით, თითეულ ერში რა რიგ პატარა არ იყოს ჩანერგილ შესაძლებლობათა სრული განვითარებით შეიძლება მხოლოდ კომუნიზმის დიდი შენობის აგება.

ტფილისის მეურნეობა მენშევიკებმა სრულ გაღატაკებამდი მიიყვანეს. ტფილისის საბჭო დაუღალავად მუშაობდა ქალაქის რთული და ფართო მეურნეობის ყველა დარგების აღსადგენად; წყალსადენი, ელექტრონის განათება, სასაკლაოები, მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება—ყველგან სჩანს მტკიცე ხელი, ფხიზელი და მომჭირნე პატრონის თვალი.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ისე, როგორც ეს სასურველია, მაგრამ ქალაქის მეურნეობა დღითი დღე უმჯობესდება, დაწყებული დიდი საქმე—ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება, რომელიც ენერგიულად სწარმოებს და, ახლა ამის თქმა სრულის დარწმუნებით შეიძლება, ჩქარა დამთავრდება, მტკიცე ფუნდამენტს შეუქმნის ტფილისის და მაზრის მთელ მეურნეობას.

ეს წარმატება მიღებულია მხოლოდ იმ ერთსულოვნების წყალობით, რომელსაც მუდამჟამს იჩენდენ ტფილისის მშრომელი მასები, იმ აქტიურ დახმარების წყალობით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მუდამ ხვდებოდენ მუშებისა და გლეხების მხრივ. საქმიანი თანამშრომლობის, თანაგრძნობის და ნდობის ატმოსფერაში იზრდებოდენ და მაგრდებოდენ ჩვენში საბჭოები, ნიადაგს კარგავდენ ანტისაბჭოთა ელემენტები. ყველა ისინი, ვინც დაკავშირებულია შრომასთან, ყველა ისინი, ვისაც გული შესტკივა თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, კავშირს სწყვეტენ თავის მენშევიკურ წარსულთან და მუშაობენ საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლათ.

წარსული წლების გამოცდილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ერთად ერთი პარტია, რომელსაც მშრომელი მასები მიყავს გამარჯვებისაკენ, ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისაკენ,—ეს არის კომუნისტური პარტია.

ამიტომ, ტფილისის საბჭოში ახალი არჩევნების დროს, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი მასების ინტერესები, ვისაც სურს მთელი ქვეყნის მუშებთან ერთად შექმნას ახალი უკეთესი მომავალი, ყველა მშრომელებმა, როგორც ერთმა კაცმა, ხმა უნდა მისცენ კომუნისტური პარტიის კანდიდატებს!

დეე, ტფილისის საბჭოს წითელმა დროშამ განაგრძობს ამაყად ფრიალი კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

არც ერთი ხმა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

არც ერთი ხმა იმათ, რომელთაც უპარტიობის ნიღაბის ქვეშ სურთ დაიმალონ ბრძოლას.

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია!

მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელებო და ყველა მშრომელებო! მედგრათ შემოკრბით ტფილისის საბჭოს გარშემო, კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი.

ტფილისის საბჭოს არჩევნების წინ

ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქში—ტფილისში და მის მაზრაში ამ დღეებში დაიწყება საბჭოთა არჩევნები.

უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნების შედეგებს.

აქ ერთხელ კიდევ გამოაშკარავდება ტფილისის პროლეტარიატის სულიერი განწყობილება, ამასთან ეს იქნება ტონის მიმცემი მთელი საქართველოსათვის.

ეხლანდელი არჩევნები მეოთხეა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან.

სამ წინანდელ არჩევნებში ტფილისის მუშათა კლასმა ნდობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას და მის კანდიდატებს ჩააბარა დედა-ქალაქის სვე-ბედი.

ამით საქართველოს მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმმა, ტფილისის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ ის მაგრად ებღაუჭება თავის, საბჭოთა ძალა-უფლებას და მტკიცედ დგას რევოლიუციის ნიადაგზე.

დღეს, როდესაც ლოზუნგი საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარული რევოლიუციისა დღის წესრიგშია დასმული მსოფლიო მასშტაბით, უეჭველად დიდია ჩვენი მუშათა კლასის რევოლიუციონური აღტყინება, ის მზად არის აქტიური დახმარების ხელი გაუწოდოს საერთაშორისო და პირველ ყოვლისა გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

მოახლოვებულ არჩევნებში ტფილისის მშრომელი მასა გამოამჟღავნებს თავის რევოლიუციონურ განწყობილებას. ის კვლავ მისცემს ხმას კომუნისტურ პარტიას, რომელიც მეთაურობს ამ მსოფლიო რევოლიუციონურ ბრძოლას.

კომუნისტური პარტია ამავე დროს ეწევა უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას. სამი წლის განმავლობაში ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია არა მარტო ნგრევა ძველის, დახავსებულის, არამედ ცხოვრების აღორძინება და გარდაქმნა ახალ საფუძვლებზე.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რა გაკეთდა აღმშენებლობითი დარგში საქართველოს მასშტაბით.

მაგრამ ტფილისის საბჭოს არჩევნების წინ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხოთ დედა-ქალაქის საბჭოს სამეურნეო საქმიანობას.

ყველა ჩვენთაგანი ხედავს, თუ რა გაუმჯობესობა ეტყობა ტფილისს ყოველ მხრივ.

მენშევიკების ბატონობის დროს მთელი ქვეყნის და კერძოდ ტფილისის მეურნეობა კატასტროფიული იყო. ქალაქის წარმოება მათ მიიყვანეს სრულ განადგურებამდე. წყალსადენი, ტრამვაი, სასაკლაო, ელექტრონი და მთელი რიგი წარმოებანი შეჩერების წინ იმყოფებოდნენ. მათ შესაკეთებლად და ასაღორძინებლად არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა.

მძიმე მემკვიდრეობა გადაქცა მენშევიკებისაგან საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ სამი წლის განმავლობაში ტფილისის საბჭო კოლოსალურ მუშაობას აწარმოებდა ქალაქის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად. საფუძვლიანად შეკეთდა ყველა მთავარი დარგები კომუნალურ მეურნეობის, რის წყალობით მოსახლეობის აუცილებელი მოთხოვნილებებით დაკმაყოფილების საქმე დღეს საერთოდ რიგიანადაა დაყენებული. კომუნალურ სამსახურის მიწოდება კლასობრივ პრინციპზეა აგებული და ამით მშრომელი მასის მდგომარეობა საგრძნობლადაა გაუმჯობესებული.

ტფილისის საბჭოს მუშაობაში კერძოდ აღსანიშნავია უდიდესი მნიშვნელობის დაწყებულება, სახელდობრ ზემო-ავჭალის ჰიდრავლიურ სადგურის აგება.

ეს მუშაობა დაიწყო ორი წლის წინედ და უკვე შესრულებულია სამუშაოს ორი მესამედი. ერთი წლის შემდეგ სადგური მზად იქნება. ეს სადგური ძირეულად შესცვლის ტფილისის სამეურნეო და კულტურულ სახეს.

ასეთი მუშაობის დაწყება შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც შემოქმედების უდიდესი ნებისყოფით და ენერგიითაა გაღენთილი.

ტფილისის მეურნეობის ასაყვავებლად და მოსახლეობისათვის ცხოვრების კარგი პირობების შესაქმნელად განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს. ეჭვი არ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. აწი უფრო მეტი მუშაობაა საწარმოებელი ქალაქის მეურნეობის აღსადგენად. კერძოდ მწვავედ დგას ბინის საკითხი. საბინაო აღმშენებლობა შეჩერებულია. მართალია, მუშებს დაეთმოთ საუკეთესო შენობები, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აუცილებელია ახალმა საბჭომ გააჩაღოს სახლების მშენებლობა და საბინაო საკითხი გადაჭრას ფართე მასშტაბით.

კიდევ სხვა ბევრი საკითხებია მოსაგვარებელი.

ტფილისის მუშათა კლასისათვის ცხადია, რომ ქალაქის მეურნეობის შემდეგი აღორძინება და პროლეტარიატის ეკონომიურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მეთაურობით. და ეჭვი არ არის, რომ ის, როგორც წინედ, ისე ეხლაც გაიყვანს ტფილისის საბჭოში კომუნისტური პარტიის კანდიდატებს.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის მდგომარეობა

გოსპლანის პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებული იქნა ამხ. გრომანის მიერ მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. მოხსენება შეიცავდა გასული 22—23 წლის*) მეურნეობის მუშაობის ჯამს.

გასულ სამეურნეო წელში ქალაქის მრეწველობის საერთო (ВАЛОВОЙ) პროდუქცია ომამდე არსებულ ფასების მიხედვით გამოიხატება 1900 მილ. საქონლის მანეთში, ხოლო ახალი ფასებით (მხედველობაშია მიღებული საქონლის ახლანდელი სიძვირე ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით) 2625 მილიონი საქ. მანეთში. წმინდა პროდუქცია ფასდება ახლანდელი ფასების მიხედვით 950 მილ. საქ. მანეთით; ომამდე კი წარმოების წმინდა პროდუქცია უდრიდა 2300 მილ. საქ. მანეთს. პროცენტების მიხედვით წარმოების ახლანდელი პროდუქცია უდრის ომამდე არსებულ დროის პროდუქციის 45 პროც.

ზევით ნაჩვენებ 950 მილ. მან. პროდუქციიდან სამუშაო ხელფასზე დახარჯული იქნა 200 მილ. საქ. მან.; 50 მილ. სხვადასხვა ხარჯებზე, 100 მილიონი ამორტიზაციისათვის. დანარჩენ 600 მილიონით განისაზღვრება გასულ წელში მრეწველობაში მიღებული ზედმეტი ღირებულება.

სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია გამოხატება ომამდე არსებულ ფასების მიხედვით 4.590 მილ. საქ. მანეთში. ომამდე კი ის აღწევდა 6120 მილ. საქ. მანეთს. სასოფლო მეურნეობის ახლანდელი დაცემული ფასების მიხედვით კი გასული წლის პროდუქცია ფასდება 4 590 მილ. მანეთის მაგიერათ 3 440 მანეთათ

სასოფლო მეურნეობის წმინდა პროდუქცია უდრის 3,100 მილ. მანეთს (ახალი ფასების მიხედვით), ომამდე კი ის აღწევდა 5,600 მილიონი მანეთამდე. ამრიგათ გასული წელი იძლევა სოფლის მეურნეობაში ომამდე არსებულ პროდუქციის 52 პროცენტს.

წარმოებაში ჩაბმული მუშა ხელი ომამდე უდრიდა 2 მილ. 598 ათას, გასულ წელში კი ის შეადგენდა 1 მილ. 476 ათასს, რაც იძლევა ომამდე ჩაბმულ მუშათა რიცხვის 60 პროც.

შრომის ნაყოფიერება გასულ (საანგარიშო) წელში ავიდა 60 პროც. ომამდე არსებულ ნაყოფიერების მიხედვით და იძლევა ერთ მუშაზე 1300 მანეთს; ომამდე კი იძლეოდა 2163 მანეთს.

ახლანდელი სამუშაო ხელფასის საშუალო რაოდენობა ომამდე არსებულ ხელფასთან შედარებით უდრის 55 პროცენტს საშუალო კატეგორიისათვის. ის გამოიხატება 12 მანეთში, ომამდე კი უდრიდა 22 მანეთს.

საგარეო ვაჭრობის სფეროში: გასულ წელში, წინა წლებთან შედარებით, გაძლიერდა საქონლის ექსპორტი, რომელიც უდრის 214 მილიონ მანეთს. იმპორტი კი უდრის 183 მილ. მანეთს.

რკინისგზის ტრანსპორტს გასულ სამეურნეო წელში დაეტყო საგრძნობელი გამოცოცხლება. მისი გადამზიდავი ძალა გაიზარდა 23 პროცენტით. ამასთანვე საქონლის ტვირთვა და გადატვირთვა ხდება უფრო დაჩქარებით ვიდრე 22 წელში.

საერთოდ გასულ წელში მეურნეობამ დაიბრუნა ის, რაც მან იზარალა 19, 20 და 21 წელში.

ს. გ.

მოსკოვი, 4 ნოემბერი.

*) სამეურნეო წელი განირჩევა საკალენდარო წლისაგან მით, რომ ის ითვლება ოქტომბრიდან ოქტომბრამდე.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

ახალი მთავრობის „ძებნაში“: ნაციონალისტებს შეუძლებლად მიაჩნიათ შტრეზემანთან ერთად მუშაობა. ისინი შევლენ მთავრობაში მხოლოდ იმ პირობით, თუ შტრეზემანი არ იქნება მთავრობის თავმჯდომარე.

შესაძლებელია გერმანიის მთავრობის თავმჯდომარეთ დაინიშნოს ვირტი.

რა ხდება ბავარიაში: დაპატიმრებული გენერალი ლიუდენდორფი გაანთავისუფლეს და ჩამოართვეს „პატიოსანი“ სიტყვა, რომ ის შემდეგში არ ამხედრდება საიმპერიო მთავრობის წინააღმდეგ.

ბავარიაში შემოღებულია სამხედრო-საველე სასამართლოები.

კომპარტიის მოწოდება: ბავარიაში გადატრიალების დროს კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვდა დაეარსებიათ მუშებს მოქმედების კომიტეტები.

ექსპერტთა კონფერენციის გარშემო: საფრანგეთმა შესცვალა თავისი დამოკიდებულება ექსპერტთა კონფერენციისადმი. საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში წინადადება მიეცა კონფერენციისადმი არ წამოაყენოს დიდი მოთხოვნილებები.

კრონპრინცის გაქცევა: გერმანიის კრონპრინცი გაიქცა თავისი ბინიდან.

კრონპრინცის გაქცევა

როგორ გაიქცა.

ლონდონი. 11 ნოემბ. გერმანიის ყოფილი კრონპრინცი გაიქცა ფარულად დღეს, დილის 4 საათ. ვიხინგენის კუნძულიდან, სადაც ის იყო გადასახლებული 1918 წ. ნოემბრიდან. ის გაემგზავრა ავტომობილით თავის მამულში ელსში (სილეზია). დადასტურებულია, რომ გერმანიის მთავრობამ მისცა მას პასპორტი იმ პირობით, თუ ის არ გაივლის ბერლინში, ალბად პოლიტიკური მოსაზრებების გამო. კრონპრინცმა დასტოვა გამოთხოვების ბარათი „ჩემს კარგ მეგობრებს ვიხინგენში“, რომელიც ჩაწებული იქნა ფოსტის ყუთში მისი კუნძულიდან გასვლის შემდეგ.

ელჩთა კონფერენცია პარიზში აღნიშნავს კრონპრინცის დაბრუნების მნიშვნელობას და მოითხოვს გერმანიისადმი გაგზავნილ ნოტაში ახსნა-განმარტებას.

ფაქტი ოფიციალურათ მართლდება.

ლონდონი. 12 ნოემბ. ჰოლანდიის მთავრობა ოფიციალურათ ადასტურებს, რომ გერმანიის ყოფილი კრონპრინცი გუშინ დილას გაემგზავრა კუნძულ ვერინგენიდან, გადავიდა გერმანიის საზღვარზე და ელსისაკენ გაეშურა.

რა ხდება ბავარიაში

დამშვიდებულია.

ბერლინი. 11 ნოემ. პარასკევს საღამოს მიუნხენში სრული წესრიგი და მშვიდობიანობა დამყარდა. რეიხსვერი და პოლიცია ბრძანებლობენ.

კარი მოქმედებს.

ბერლინი. 11 ნოემ. მთავრობის კომისარმა კარმა გააფრცელა საგანგებო მდგომარეობა მთელ ბავარიაზე და დაუყოვნებლივ დაშალა ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია და სხვა ნაციონალური კავშირები: „ობერლანდი“ და „კრიგს-ფლაგე“.

პარასკევს საღამოს მიუნხენში გამოკრული იყო კარის მოწოდება, რომელიც აუწყებდა მცხოვრებთ საველე სასამართლოების შემოღების შესახებ.

დაპატიმრებული და განთავისუფლებული.

ბერლინი. 11 ნოემ. პარასკევს საღამოს გენერალი ლიუდენდორფი გაანთავისუფლეს და ჩამოართვეს პატიოსანი სიტყვა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს აჯანყებაში. **ჰიტლერი ხად იმყოფება ჯერ არ იციან.** დაპატიმრებული არიან კიდევ პოლიციის უფ. პრეფექტი პონერი და თავადი ვრედე. ნაციონალისტ-სოციალისტებიდან მოკლული არიან ექიმი შეიბნერი, მსაჯული ფონ-ფორტენი და ინჟინერი შტრონიცკი.

ბავარიის პრემიერი კნილინგი და მასთან ერთად დაპატიმრებული მინისტრები განთავისუფლებული არიან.

ლიუდენდორფის „პატიოსანი სიტყვა“.

ბერლინი. 11 ნოემ. ლიუდენდორფის განთავისუფლებამ ბერლინში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ეს მოხდა ცენტრალურ მთავრობის სახელმძღვანელო ინსტრუქციების გარეშე.

ლონდონი. 11 ნოემ. „დეილ მეილის“ ბერლინის კორესპონდენტი იუწყება, რომ ლიუდენდორფი განთავისუფლებულ იქნა იმის შემდეგ, რაც მან მისცა „პატიოსანი სიტყვა“, რომ არ გაიქცევა მართლმსაჯულებას.

კარის განმარტება.

პარიზი. 11 ნოემ. კარმა განაცხადა, მიუნხენში: „ეს იყო ჩვენი, ხაზით მოვალეობა დავთანხმებულიყავით ჰიტლერის მოთხოვნილებაზე, რათა თავიდან აგვეშორებია ჩვენი დაპატიმრება და თავისუფლად გვემოქმედნა. ბერლინის წინააღმდეგ განზრახული გალაშქრება ბავარიის საზღვარს არ გასცილდებოდა, სადაც იგი შეწყდებოდა ეკონომიური და სამხედრო მიზეზების წყალობით.

სამხედრო-საველე სასამართლოები.

ბერლინი. 10 ნოემ. საალყო წესების შემოღების გამო, ბავარიაში მუშაობენ სამხედრო-საველე სასამართლოები.

აქითაც და იქითაც.

ბერლინი. 10 ნოემ. კარმა გასცა ბრძანება ნაციონალისტური (ფაშისტური) პარტიის და ფაშისტური კავშირების „ობერლანდ“-ის და „საიმპერიო დროშის“ დაუყოვნებლივ დაშლის შესახებ. კარის ორმაგი თამაში დიდ აღშფოთებას იწვევს ბავარიის მემარჯვენე წრეებში. ბავარიის სამშობლოს დაცვის კავშირებმა უნდობლობა გამოუცხადეს კარს.

კარს თავიდან იცილებენ.

ბერლინი 9 ნოემ. ბავარიის სახალხო პარტიამ დაადგინა გაუქმებულ იქნეს სახელმწიფო კომისრის თანამდებობა, რომელიც დაარსდა ბავარიაში საალყო წესების შემოღებისათანავე. ამგვარად თავიდან მოიცილებენ კარს, რომელსაც ეს თანამდებობა უჭირავს.

ლოსსოვი ჰიტლერის წინააღმდეგ.

ბერლინი. 9 ნოემბ. გენერალი ლოსსოვი ბავარიის რეიხსვერის დასმარებით ბრძოლას აწარმოებს ჰიტლერის წინააღმდეგ. ტიურინგიის რეიხსვერის სარდალმა გენერალმა რეინგარდტმა ლოსსოვის განკარგულებაში გადასცა ტიურინგიაში მყოფი რეიხსვერის მე-5 დივიზია. სამხრეთ-ბავარიის ჯარი მაუნჩენში გაიგზავნა. ლოსსოვმა დაიკავა მიუნჰენის რეიხსვერის ყაზარმები.

საოლქო საკომენდანტოში თავშეფარებულ ჰიტლერის მომხრეებს წინადადება მისცეს, ერთი საათის განმავლობაში დანებებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიუსევენ რეიხსვერის ორ ბატალიონს.

ჰიტლერის სიმაგრე დაეცა.

ბერლინი. 9 ნოემბ მიუნჰენის სამხედრო-საოლქო საკომენდანტო ბრძოლის შემდეგ, რეიხსვერმა დაიჭირა. **მსხვერპლი ორივე მხრიდან უმნიშვნელოა—მოკლულია 8—10 კაცი.** ჰიტლერი დაიჭრა და მიიმალა.

ფაშისტების დატუსაღება.

ბერლინი. 9 ნოემბ. ლიუდენდორფთან ერთად დაატუსაღეს პოლკოვნიკი რომენი და ფაშისტების სხვა ბელადები.

ნიურენბერგში.

ბერლინი. 9 ნოემბ. ნიურენბერგის მეცხოვრე რეიხსვერის სარდლობა იკისრა გენერალმა კრეიცენშტეინმა.

გენერალ ზექტის მოწოდება რეიხსვერის მიმართ.

ბერლინი. 9 ნოემბ. გენერალი სექტი რეიხსვერის სახელობაზე გამოცემულ მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეიხსვერის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილთა შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს. ამის გამო სარდლობას მოუწოდებს, ყოველი ღონისძიება იხმარონ დამოსახლეობას მიაწოდონ სურსათ-სანოვაგე.

ფაშისტები არა სცხრებიან.

ბერლინი. 9 ნოემბ. გალეში ფაშისტებმა სცადეს დარბევის მოხდენა, მაგრამ მუშათა ორგანიზაციებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ფაშისტები გაჰფანტეს.

გაფიცვების ტალღა

ბერლინი. 10 ნოემბ. ბანკის მოსამსახურეთა 90 პროც. მა ხმა მისცა გაფიცვის გამოცხადებას. შრომის სამინისტრომ მოლაპარაკება დაიწყო გაფიცვის კომიტეტთან.

რადგანაც მბეჭდავთა მოთხოვნილება, ხელფასის ოქროს ანგარიშით გასწორების შესახებ, არ დააკმაყოფილეს, შაბათს ბერლინის ყველა სტამბებში დაიწყო მბეჭდავთა გაფიცვა, პროფკავშირის დაუკითხავად. სახელმწიფო სტამბა, სადაც ქაღალდის ფული იბეჭდება, აღარ მუშაობს. გაზეთები არ გამოსულა.

ბავარიის ამბების გარშემო

როგორ მოხდა გადატრიალება.

ბერლინი. 9 ნოემბერი. „როსტას“ კორესპონდენტის ცნობით, ჰიტლერის გამოსვლას შემდეგი ამბები მიუძღოდა წინ: დადგენილება გამოსვლის შესახებ მიღებული იქნა ჰიტლერის კავშირების საიდუმლო სხდომაზე. გამოსვლის მთავარი მიზეზი იყო საშუალებების უქონლობა ბავარიის მრეწველების მიერ ფაშისტური ორგანიზაციებისათვის სუბსიდიების მიცემის შეწყვეტის გამო. ერხარდტის ბრიგადამ აუწყა ჰიტლერს, რომ საჭირო საშუალებების უქონლობის გამო ის იძულებულია მიმართოს რეკვიზიციებს და მოითხოვა დაყოვნებლივ გამოსვლა. კარმა, ლოსსოვმა და პონერმა ხმა მისცეს გამოსვლას ჰიტლერისაგან ძალდატანების გარეშე, მიუნხენის არქიეპისკოპოსმა ფაულჰაბერმა როგორც კი გაიგო გამოსვლის შესახებ ინახულა პრინცი რუპრეხტი და მასთან ერთად ურჩია კარსა და ლოსოვს უარი ეთქვათ ჰიტლერის გამოსვლაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ის არ იძლევა საკმაო გარანტიებს მონარქიის აღსადგენათ.

კარმა დაუყოვნებლივ შესცვალა თავისი პოზიცია და გაილაშქრა თავისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ერხარდტის ბრიგადამ, მიიღო რა ცნობა ფაშისტების დამარცხების შესახებ, განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტს იცავს და არ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში.

დამშვიდდნენ.

ბერლინი 9 ნოემბერი განკარგულება ბავარიასთან მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ და აგრეთვე ბავარიის გაზეთების ცენზურა გაუქმებულია.

ბავარიის გადატრიალების გამოძახილი

აჯანყების გამოძახილი ავსტრიაში.

ვენა. 9 ნოემბ. ჰიტლერის გამოსვლამ დიდი აღელვება გამოიწვია ავსტრიაში. 4 000 ფაშისტმა თავი მოიყარა ბავარიის საზღვარზე, მაგრამ ისინი არ გამოსულან. მუშათა თავდაცვის რაზმების სოციალ-დემოკრატი ხელმძღვანელები სამრათ ამზადებენ თავის რაზმებს. ანტანტის წარმომადგენლებმა ვენაში შეკითხვა მისცეს ავსტრიის მთავრობას, რომელშიაც ისინი მოითხოვდნენ მთავრობის პოზიციის გამორკვევას ბავარიის ამბების მიმართ; მთავრობამ შეკითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა; პასუხში ნათქვამია, რომ ავსტრიის საზღვრები საკმაოთ დაცულია.

უნგრეთის ფაშისტების შეთქმულება.

ვენა. 9 ნოემბ. ამას წინათ აღმოჩენილი უნგრეთის ფაშისტების შეთქმულება საკმაოთ სერიოზული აღმოჩნდა. დატუსაღებულია შეთქმულების 70 მონაწილე, მათ რიცხვში ფაშისტური დეპუტატები ხომომეი და ულაინი, და აგრეთვე ამერიკის მოქალაქე ბობოლო, რომელიც ფულს აძლევდა ფაშისტებს ამერიკის მილიარდერ ფორდის საშუალებებიდან. ულაინი მოლაპარაკებას აწარმოებდა ავსტრიისა და ბავარიის ფაშისტებთან იმის შესახებ, რომ გაეგზავნილი ყოფილიყო უნგრეთში რამოდენიმე ათასი ფაშისტი საერთო გამოსვლის მოსაწყობად. კომპენსაციის სახით უნგრეთის ფაშისტები დაპირდენ ბავარიას სურსათის მიწოდებას. უნგრეთის პოლიცია ეძებს ფაშისტების იარაღის საწყობებს.

ფაშისტური შეთქმულების აღმოჩენა უნგრეთში.

პარიზი. 10 ნოემბერი. ბულგარეთში აღმოაჩინეს ფაშისტური შეთქმულება. შეთქმულებს მონაწილეთ კავშირი ჰქონდათ ბავარიასთან და ჰიტლერთან. დატუსაღებულია 70 ბავარიელი, რომელნიც ამას წინეთ ჩავიდენ უნგრეთში, როგორც უმუშევრები. ბავარიისა და უნგრეთის საზღვარზე დაატუსაღეს დეპუტატი ულაინი, რომელსაც ბრალათ ედება შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება. **შეთქმულებაში მონაწილეთ განზრახვა ჰქონდათ მოეხდინათ უნგრეთში ნოემბრის ბოლო რიცხვებში ფაშისტური გადატრიალება.** ირკვევა, რომ ჰიტლერმა მიუნხენში გადატრიალების მოწყობის წინ დაპირება მიიღო იტალიის ფაშისტებისაგან იმის შესახებ, რომ ისინი დახმარებას გაუწევდენ მას; ჰიტლერი თავის მხრივ დაპირდა მათ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ფაშისტები ხელში ჩაიგდებენ ძალაუფლებას, მაშინ სამხრეთ ტიროლი გადავა იტალიის ხელში.

ჰიტლერის დაპატიმრება

ბერლინი. 12 ნოემბერი. მიუნხენიდან იუწყებიან, რომ კვირას სამხრეთ-ბავარიაში დაატუსაღეს ჰიტლერი.

პრესის აზრი ბავარიის ამბების შესახებ

„მოსაზრებანი“.

ბერლინი. 9 ნოემბერი. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ ფაშისტების გამოსვლა ბავარიაში დამარცხებით დამთავრდა. ნაციონალისტური პრესა გამოსვლის მიზეზათ სთვლის საიმპერიო მთავრობის კომპრომისულ პოლიტიკას და იცავს ლიუდენდორფს, რომელიც მათი სიტყვით არ იღებდა მონაწილეობას გადატრიალების ხელმძღვანელობაში. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“ სწერს, რომ ლიუდენდორფის პოლიტიკური კარიერა დამთავრდა.

დემოკრატიული პრესა აღნიშნავს კარისა და ლოსოვის გაურკვეველ პოზიციას.

„ფოსიშე ცაიტუნგ“ მიუნხენის ამბებს მეტად სასარგებლოდ სთვლის საიმპერიო მთავრობისათვის, რამდენათაც ამ ამბებმა მოხსნეს ნიღაბი ლიუდენდორფს, რომელიც გამოვიდა როგორც აშკარა სახელმწიფო მოღალატე.

ეს გაზეთები ილაშქრებენ მემარჯვენე პრესის წინააღმდეგ, რომლებიც კარსა ლოსოვს დ კონსტიტუციის ერთგულ დარაჯებს უწოდებენ. კარი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული სახელმწიფო ღალატისათვის, რადგან მან არ განაცხადა პროტესტი ჰიტლერის მიერ ახალი მთავრობის გამოცხადების და აგრეთვე ბავარიის მთავრობის დატუსაღების წინააღმდეგ.

ცენტრის ორგანო „გერმანია“ სწერს: „ჰიტლერის საბრალო ცდა ამტკიცებს, რომ ე. წ. „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადები მამლაყინწა, ავანტიურისტი ხალხია. კარი სამაგლათ იქცეოდა. მან ვერ გამოიჩინა ვერც სახელმწიფო კაცის სიმტკიცე და ვერც პირადი გამბედაობა. მოძრაობა გაკოტრდა. ჰიტლერი და ლიუდენდორფი პოლიტიკურად მოკვდნენ“.

მემარჯვენე პრესა ბანზე დგება.

ბერლინი. 9 ნოემბერი. მემარჯვენეთა საღამოს გაზეთები უარყოფენ მემარჯვენეების მონაწილეობას დამარცხებით დამთავრებულ აჯანყებაში და ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩრდილოეთ გერმანიის ეროვნულ კავშირების უმრავლესობა, მემამულეთა საიმპერიო კავშირი და მემარჯვენე პარტიები კარს სთვლიან მთელ გერმანიის ეროვნულ მოძრაობის ლიდერათ.

ახალი მთავრობის „ძებნაში“

ახალი მთავრობის შედგენის პროექტი.

ბერლინი. 10 ნოემბერი. გუშინ სწარმოებდა მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებსა, დემოკრატებსა და ცენტრს შორის ახალი მთავრობის შედგენის შესახებ ვირტის მეთაურობით. ცენტრის წრეებში ფიქრობენ, რომ ამ თათბირიდან არაფერი გამოვა.

საფრანგეთი ახალი მთავრობის წინააღმდეგაა.

ბერლინი. 10 ნოემბერი. იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა უარს იტყვის მემარჯვენე დიქტატურის შესახებ საფრანგეთის წარმომადგენლის განცხადების მიღებაზე, რადგან ეს განცხადება იქნებოდა გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევა.

„ფორვერტსის“ ცნობით, საფრანგეთის წარმომადგენელს ბერლინში მარჟერის უკვე ჰქონდა საუბარი შტრეზემანთან და გადასცა მას საფრანგეთის მთავრობის აზრი გერმანიაში მემარჯვენე დიქტატურის დამყარების შესახებ. შტრეზემანმა კმაყოფილება გამოსთქვა, რომ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა ჩაერიოს გერმანიის შინაურ საქმეებში და განაცხადა, რომ მთავრობა განიხილავს საფრანგეთის აზრს.

პარიზი. 10 ნოემბერი. პრესა უარყოფს ხმებს, თითქო საფრანგეთის ელჩს მარჟერის მიღებული ჰქონდეს ინსტრუქციები წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიაში მემარჯვენე დიქტატურის დამყარებას.

ეს ადასტურებს იმას რომ საფრან-

ანრი ბარბიუსი

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, ბერლინში ომში ყოფილ მონაწილეთა კონგრესზე გამოსვლისა და საფრანგეთის ჯარისკაცებისადმი მოწოდებისათვის არ იმპარონ იარაღი გერმანიის მუშების წინააღმდეგ, საფრანგეთია მთავრობამ პასუხი გებაში მისცა.

გეთის მთავრობას განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს გერმანიის მთავრობას ვერსალის ხელშეკრულების ლოიალურათ შესრულებაში. პუანკარემ პოზიცია შესცვალა მსხვილი მრეწველების ზეგავლენით.

უთანხმოება გრძელდება.

ბერლინი. 9 ნოემბერი. იმედები შტრეზემანის მთავრობის განმტკიცების შესახებ არ გამართლდა. გაიმარჯვა სახალხო პარტიის სტინესის ფრთამ. პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არ არის არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ მოწვეულ იქნენ ნაციონალისტები მთავრობის შემადგენლობაში. სახალხო პარტიის ლიდერმა ჰოლცმა მოლაპარაკება დაიწყო ნაციონალისტების ლიდერთან, გრაფ ვესტარპთან. მიუნხენის აჯანყების შემდეგ დემოკრატები წინააღმდეგი არიან იმის, რომ მოწვეულ იქნენ მთავრობაში ნაციონალისტები. ცენტრიც აგრეთვე წინააღმდეგია ნაციონალისტების აქტიური მონაწილეობის; ისინი მოითხოვენ, რომ კაბინეტი შევსებულ იქნეს ნაციონალისტებისათვის მისაღებ პირებით.

სახალხო პარტიის მოლაპარაკება ნაციონალისტებთან.

ბერლინი. 10 ნოემბერი. სახალხო პარტიის მოლაპარაკება ნაციონალისტებთან უშედეგოთ დარჩა. ნაციონალისტები უარს ამბობენ მთავრობაში შესვლაზე, თუ მთავრობის სათავეში იქნება შტრეზემანი. მეორე მხრით, სახალხო პარტიის ლიდერმა შოლცმა განაცხადა, რომ პარტიას არ შეუძლია კავშირის გაწყვეტა შტრეზემანთან. მოლაპარაკება შეწყდა. მემარჯვენე პრესა კვლავ დაჟინებით მოითხოვს მემარჯვენეთა მთავრობის შედგენას.

ნაციონალისტები დაჟინებით მოითხოვენ მემარჯვენეთა დიქტატურას.

ბერლინი. 10 ნოემბერი. ნაციონალისტების კრებაზე გრაფმა ვესტარპმა განაცხადა, რომ შეთანხმება შტრეზემანთან შეუძლებელია და ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალისტები დაჟინებით მოითხოვენ მემარჯვენეთა დიქტატურის დამყარებას. თუ რეიხსტაგი ამის წინააღმდეგ წავა, ის გაშვებული უნდა იქნეს. „დოიჩე ტაგე ცეიტუნგ“-ში გამოქვეყნებულ მოწოდებაში ნაციონალისტები და აგრარიების კავშირები მოითხოვენ „გაბედულ ნაბიჯებს“.

მზადა არიან.

ბერლინი. 10 ნოემბერი. „კრეიც ცეიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ ნაციონალისტების ნაბიჯები ბევრში წააგავს ჰიტლერისას.

მემამულეები იმუქრებიან დამშევით

ბერლინი 10 ნოემბერი. აგრარიების საიმპერიო კავშირმა კავშირი შეკრა სტინესთან და განაცხადა, რომ აგრარიები ქალაქს არ მოამარაგებენ სურსათს, სანამ არ შესდგება მემარჯვენეთა მთავრობა.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ჰოლანდია

შეთანხმებლებიც ეხმარებიან

ბერლინი. 10 ნოემბერი. პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანებამ გადასწყვიტა გაუწიოს ფინანსიური დახმარება გერმანიის პროფკავშირებს

უნგრეთი

ჰიტლეროველების ხელშეკრულება უნგრეთის ფაშისტებთან.

ვენა. 10 ნოემბერი. ფაშისტური შეთქმულების გამოძიებიდან მიღებულ ცნობებით, უნგრეთის ფაშისტების ხელშეკრულებით ჰიტლეროველებთან, უკანასკნელები უზრუნველყოფდენ უნგრეთის საზღვარზე მშვიდობიანობის დაცვას, ხოლო ამის სამაგიეროდ უნგრეთის ფაშისტები მათ ჰპირდებოდენ დახმარებას ბავარიის ტერიტორიის გაფართოვებისათვის. ირკვევა, რომ უნგრეთის ფაშისტებს განზრახული ჰქონდათ ებრაელების დარბევა ბუდაპეშტში და ყველა გამოჩენილ ებრაელების მოკვლა. ამას გარდა ფაშისტებს განზრახული ჰქონდათ 30 სოციალ-დემოკრატ—დეპუტატის მოკვლა და მთავრობის მომხრეების დაპატიმრება საკონტრიბუციო ბანკში. გამოძიება გრძელდება. მოსალოდნელია ახალი დაპატიმრებანი.

ინგლისი

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ.

ლონდონი. 10 ნოემბერი. „უორკერს უიკლი“ ათავსებს სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციების რეზოლუციებს, სადაც ისინი ემხრობიან გერმანიის მუშებს.

პოლონეთის ამბები

კრაკოვის რკინისგზელთა გაფიცვა ჩაქრა საბოლოოთ.

მუშებმა გაფიცვაზე ხელი აიღეს, რადგან ვერ გაუძლეს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მიერ ვერაგულად ჩაცემულ მახვილს.

9 ნოემბერს ღამით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი თავს დაესხა დომბროვსკის ფორტს, რომელიც მდებარეობს ვარშავის ახლოს.

კრაკოვში დაასაფლავეს 14 მუშა, რომლებიც გახდენ აჯანყების მსხვერპლნი.

დაწვრილებითი ცნობები კრაკოვის აჯანყების შესახებ

ვარშავა. 10 ნოემბერი. გაფიცვის პირველ დღეს ხდებოდა შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის. პოლიციის დახმარებლად მოსული ცხენოსანი ნაწილები განიარაღებული იქნენ ნაწილობრივ ნებაყოფლობით, ნაწილობრივ კი ძალით და წაყვანილ იქმნენ ტყვედ. სასტიკი ბრძოლა შეიარაღებულ მუშებსა და ჯარებს შორის 4 საათს გაგრძელდა. მუშებს იარაღი ჩააბარა ქვეითა და ცხენოსან ჯარის ორმა ნაწილმა. ამის შემდეგ ჯარების უფროსმა გენერალმა ჩიკულმა გარნიზონი ქალაქიდან გამოიყვანა. მუშებმა სასწრაფოდ მოაწყვეს მილიცია.

კრაკოვში ჩამოვიდენ შინაგან საქმეთა მინისტრი ოლპინსკი და გენერალი ქელიგოვსკი, რომლებმაც ჩააქრეს აჯანყება.

მუშებმა ჩააბარეს იარაღი. მუშაობა განაახლა მუშების უმრავლესობამ, გარდა რკინისგზელებისა, რომლებიც მოითხოვენ სრულ ამნისტიას, დათხოვილი მუშების უკან მიღებას და გაფიცვის დღეების შრომის ხელფასის მიცემას.

დათხოვნილი მუშების უკან მიღებაზე უარის თქმამ ახალი აღელვება გამოიწვია მუშებში, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ რკინისგზელებს.

„გაზეტა ვარშავსკას“ ცნობით მუშები შეცვივდენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის კომიტეტის სხდომაზე და სცემეს პოლონელ სოციალისტ-შეთანხმებელ გოფმანს.

მუშების მღელვარებით შეშინებულმა შეთანხმებლებმა დეპეშით მიმართეს ვიტოსს აგრეთვე და ადგილობრივ ადმინისტრაციას მუშებისათვის თვალის ახვევად წასულიყვენ ზოგიერთ დათმობებზე. მთავრობა არ თანხმდებოდა არავითარ დათმობაზე და არ მალავდა განზრახვას, რომ სისხლში სურდა ჩაეხრჩო მუშათა მოძრაობა. პოლონელ სოციალისტ-შეთანხმებელთა ორგანომ „ნაპრშუდ“ მოათავსა დეპუტატ ნადზიალკოვსკის განცხადება, რომელიც ურჩევდა მუშებს არ გამოეწვიათ სამოქალაქო ომი. გაზეთი გამოვიდა ტრაურულ არშიით მუშებთან შეტაკების დროს დაღუპულ სამხედრო პირთა დასაფლავების გამო.

მთავრობამ ნება არ დართო ერთსა და იმავე დღეს დაესაფლავებიათ შეტაკებაში დაღუპული მუშები და სამხედრო პირები უკანასკნელნი მთავრობამ დიდის ზეიმით დაასაფლავა.

ქალაქში სიმშვიდეა. სოფლიდან სურსათი არ შემოდის. მცხოვრებლები სჭამენ შეტაკების დროს მოკლული ცხენების ლეშს.

ტარნოვში ესროლეს მუშებს.

ვარშავა. 10 ნოემბ. ტარნოვში პოლიცია შეეცადა დაეშალა რკინისგზელების მიტინგი, მაგრამ ამაოთ. მაშინ პოლიციამ დახმარებისათვის მიმართა სამხედრო ნაწილებს. უკანასკნელებმა ესროლეს მუშებს და მოჰკლეს სამი მუშა. ტარნოვში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

შავ ბანაკში უთანხმოებაა

ვარშავა. 10 ნოემბ. კრაკოვში ჩავიდენ პროკურატურის წარმომადგენლები კრაკოვში მომხდარი აჯანყების მიზეზების გამოსარკვევად პოლონეთის მინისტრებს შორის დიდი უთანხმოებაა უკანასკნელი ამბების გამო ვიტოსი თანახმაა კომპრომისზე სახალხო დემოკრატები მოითხოვენ მუშებისაგან სრულ კაპიტულიაციას.

მენშევიკები შეშინდენ.

ვარშავა. 8 ნოემბერი. რკინისგზელები აღშფოთებული არიან გაფიცვის ჩაშლის გამო, რადგან მუშებმა ვერ მიიღეს ვერავითარი გარანტიები მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ვიტოსის დაპირება იმის შესახებ, რომ მთავრობა შეუდგება მოლაპარაკებას ხელფასის შესახებ, არ აკმაყოფილებს რკინისგზელებს, ვინაიდან ასეთი მოლაპარაკება 5 თვის განმავლობაში გრძელდებოდა გაფიცვის გამოცხადებამდე კომპარტია მიტინგებსა და კრებებზე მოუწოდებს მუშებს გაფიცვის განგრძობისაკენ. პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა კრაკოვის ამბების შემდეგ, მოითხოვს გაფიცვის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

ხმები მუშების მიერ რადომის დაკავების შესახებ.

ვარშავა. 8 ნოემბერი. გავრცელებულ ხმების თანახმად, რადომში მუშებმა განაიარაღეს პოლიცია და დაიპყრეს ქალაქი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ჩააბარეს იარაღი.

პოლონეთის სოციალისტური პარტია უძლურია.

ვარშავა. 8 ნოემბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტია, გაფიცვის ჩაშლის შემდეგ დაკმაყოფილდა მით, რომ შეკითხვა შეიტანა სეიმში და მოითხოვა მთავრობის გადადგომას.

რკინისგზელები რევოლუციონერდებიან.

ვარშავა 9 ნოემბერი. რკინისგზელების ერთი ნაწილი დღემდის არ შესდგომია მუშაობას. ხუთშაბათს და პარასკევს მდგომარეობა გართულდა. რკინისგზის უფროსებს განზრახული აქვთ მოახდინონ რკინისგზელების გაწმენდა, სურთ რა გამოიყენონ ვიტოსის და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დაპირებანი. რკინისგზელთა მღელვარება ძლიერდება.

მუშები ეხლაც მოატყუეს.

ვარშავა. 9 ნოემბ. მინისტრი—სახალხო დემოკრატები უკმაყოფილონი არიან ვიტოსის პოზიციით პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკების დროს.

სახალხო დემოკრატ დეპუტატების ზეგავლენით, ვიტოსი თავის პირვანდელ დაპირებებს აძლევს ისეთ განმარტებას, რომელიც ხელსაყრელი არ არის მუშებისათვის.

იღებს რა უკანვე გაფიცვისათვის დათხოვნილებს, მთავრობას მხედველობაში აქვს მათი პოლიტიკური კეთილგანწყობილება.

ძველი მეთოდით.

ვარშავა. 9 ნოემბერი. ბორისლავის ნავთის რაიონებში მოქმედებენ სამხედრო-საველე სასამართლოები. ხელახლა გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.

აპატიმრებენ შეთანხმებლებსაც.

ვარშავა. 9 ნოემ. პოზნანში და ლიუბლინში დაპატიმრებული არიან პოლონეთის სოციალისტური პარტიის გამოჩენილი წევრები.

ღარიბი გლეხობა იჩაგრება.

ვარშავა. 9 ნოემბ. სეიმის აგრარულმა კომისიამ მიანიჭა მიწათმოქმედების მინისტრს უფლება აკრძალოს პოლონეთის მემამულეების მიწების პარცელიაცია (დანაწილება) პოლონეთის განაპირა ადგილებში. ეს მოწმობს იმას, რომ მთავრობას არ სურს გაატაროს აგრარული რეფორმა, ვინაიდან განაპირა კუთხეებში უმრავლესობას შეადგენენ უკრაინელი და ბელორუსიელი ღარიბი გლეხობა, ხოლო მსხვილ მემამულეების უმრავლესობას კი—პოლონელები.

მახვილის ვერაგულათ ჩაცემა ზურგში.

ვარშავა. 10 ნოემბერი. კრაკოვის რკინისგზელთა გაფიცვა ჩააქრეს საბოლოოთ. ჯერ კიდევ არ არის ჩაქრობილი გაფიცვა პოზნანში. გაუქმებულია სამხედრო-საველე სასამართლოები და სამხედრო წესები რკინისგზებზე. გაფიცვის ლიკვიდაციის მსვლელობა ამტკიცებს, რომ პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ ვერ მოახერხა ორგანიზაციულათ ჩაეშალა გაფიცვა. მუშები იძულებული იყვნენ, თავის სურვილის წინააღმდეგ, შეეწყვიტათ გაფიცვა, რადგან მათ ვეღარ გაუძლეს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მიერ ვერაგულათ ზურგში ჩაცემულ მახვილს.

რეპრესიები მუშების წინააღმდეგ.

ვილნა. 10 ნოემბერი. მთავრობა გაძლიერებულ რეპრესიებს იღებს მუშების წინააღმდეგ. პროკურატურის ბრძანების თანახმათ, პოლიციამ დაიკავა მუშათა კლუბის შენობა, სადაც მოთავსებულია ყველა ადგილობრივ პროფკავშირების გამგეობები. დაბეჭდილია საავადმყოფო კასის შენობა. სწარმოებს მასიური დატუსაღება; იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია სცემდა დატუსაღებულთ.

თავდასხმა დომბროვსკის ფორტზე

ვარშავა. 10 ნოემბერი. გაზეთები იტყობინებიან, რომ 9 ნოემბერს ღამით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი დაესხა დომბროვსკის ფორტს (ლეგიონერების ფორტი), რომელიც მდებარეობს ვარშავის ახლოს. ფორტში მოთავსებულია ამუნიციის საწყობები. ფორტის დარაჯებმა სროლა აუტეხეს თავდამსხმელებს, რის შემდეგაც ისინი უკვალოთ მიიმალენ.

კრაკოვის ამბების მსხვერპლთა დასაფლავება.

ვარშავა. 10 ნოემბერი. დღეს კრაკოვში დაასაფლავებენ 14 მუშას, რომლებიც გახდენ კრაკოვის აჯანყების მსხვერპლი.

პანებმა დაიწყეს კრაკოვის აჯანყების გამოძიება.

ვარშავა. 10 ნოემბერი. განზრახულია კრაკოვის აჯანყების დაწვრილებით გამოძიება. სამოქალაქო სასამართლო ხელისუფლების გარდა, კრაკოვში ჩამოვიდენ აგრეთვე სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლები, რომლებიც მოახდენენ გამოძიებას სამხედრო ნაწილებს შორის.

ადმინისტრატიული აპარატის „გაწმენდა“.

ვარშავა. 10 ნოემბერი. კრაკოვში დაიწყო ადმინისტრატიულ ხელისუფლების გაწმენდა. რიკლის და მალეცკის გარდა, გადააყენეს კრაკოვის ორთავე პროკურორი და კრაკოვის საფოსტო დირექციის უფროსი, რომელმაც თავის ნებით დაურიგა მუშებს ჯამაგირი გაფიცვის დროს. გენერალი ქელიგოვსკი და ოლპინსკი დროებით რჩებიან კრაკოვში.

რკინისგზელთა გაფიცვა კლებულობს.

ვარშავა. 10 ნოემბერი. პოზნანის რკინისგზელთა გაფიცვა კლებულობს. გაფიცვის ერთადერთ კერათ რჩება ბორისლავის ნავთის რაიონი, სადაც გრძელდება საერთო გაფიცვა. მუშები აცხადებენ, რომ ისინი არ დაიწყებენ მუშაობას იმ დრომდი, სანამ მოხსნილი არ იქნება სამხედრო წესები და გაუქმებული არ იქნება სამხედრო საველე სასამართლოები.

მხოლოთ წითელი არმია იცავს რუსეთის ინტერესებს

გენერალმა დობროვოლსკიმ, მეფის მე-3 არმიის შტაბის ყოფილმა უფროსმა და, შემდეგ, დენიკინის კორპუსის უფროსმა და ყირიმის გუბერნატორმა, აღნიშნა, რომ ვრანგელის,—ამ ტიპიურ ავანტიურისტის,—თეთრი ტერორი წითელ ტერორზე გაცილებით უფრო მკაცრი იყო: თეთრგვარდიელები ხვრეტდენ ტყვეებს და დაჭრილებს, აღჩობდენ მშვიდობიან მოქალაქეებსაც. დობროვოლსკის აზრით, თეთრი არმიები მარცხდებოდენ იმიტომ, რომ გლეხობა სიძულვილით ეპყრობოდა მათ. მოწმემ განაცხადა, რომ იგი საპატიოთ სთვლის წითელ არმიაში სამსახურს, რადგან იგი ჭეშმარიტათ იცავს რუსეთის ინტერესებს იმ დროს, როდესაც ემიგრანტები ჰყიდიან თავის სამშობლოს. მან მოუთხრო აგრეთვე სასამართლოს მამონტოვის მხეცობა, რომელიც ანადგურებდა მთელს ქალაქებს და სოფლებს და ჟლეტდა მთელს მოსახლეობას.

ციმბირის ოკუპანტები ტიპიური ბანდიტები იყვნენ.

ამერიკელმა მაიორმა გრევსმა, რომელიც 1918—1920 წწ. ციმბირში იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ამერიკის არმიის საერთო აზრით, ციმბირში მოთარეშე თეთრგვარდიელები ტიპიურ ბანდიტებს წარმოადგენდენ. კოლჩაკის და სემიონოვის ტერორი გაცილებით უფრო საზიზღარი იყო, ვიდრე წითელი ტერორი. თეთრგვარდიელები მოხუც მოქალაქეებსაც კი ჟლეტდენ.

მოწმე—ექიმი.

იტალიელი ექიმი—სოციალისტი მაფფი, პარლამენტის დეპუტატი, ვოროვსკის მეგობარი, ეხება გარდაცვალებულის პიროვნებას და ხაზს უსვამს მის მაღალ განათლებას და პირად ღირსებებს. მოწმე აღნიშნავს, რომ ვოროვსკი სარგებლობდა იტალიის მთავრობის და ვატიკანის დიდი სიმპატიებით. მაფფიმ ხაზი გაუსვა, რომ ვოროვსკის მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ რუსეთის ხალხში, რომელიც სთვლის ვოროვსკის მოკვლას თავის ეროვნულ ღირსების შეურაცხყოფად.

შვეიცარიელ ექიმმა მონტენდონმა, რომელიც იყო საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლად ციმბირში 1919 წელს, აღწერა სემიონოვის და უნგერნის სიმხეცე და ხაზი წითელი არმიის თავშეკავებულ ყოფაქცევას ვლადივოსტოკის დაკავების დროს. მონტენდონი დამტკიცებულად სთვლის კონრადის განზრახვას მოეკლა პრენსიც და დივილკოვსკიც.

ამხ. რაპპორტის ჩვენება.

საფრანგეთის კომუნისტმა რაპპორტმა მოუთხრო სასამართლოს რუსეთის ემიგრანტების მიერ მის ქალიშვილზე განზრახულ თავდასხმის შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტები ყოველთვის [illegible] ინდივიდუალურ ტერორის წინააღმდეგ და [illegible] მის ბელადების სადა ცხოვრება ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე და მის შემდეგ.

პროფესორ კლიუჩნიკოვის სენსაციური განცხადება.

განსაკუთრებული სენსაცია გამოიწვია პროფ. კლიუჩნიკოვის „სმენა ვეხოველების“ ბელადის, კოლჩაკის ყოფ. გარეშე საქმეთა მინისტრის, ამჟამად კი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის განცხადებამ. კლიუჩნიკოვი ენერგიულად იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას და ხაზი გაუსვა, რომ წითელი ტერორი დაიწყო იაროსლავში მომხდარ აჯანყების ჩეხო-სლოვაკების გალაშქრების შემდეგ. კოლჩაკის მთავრობა იყო აშკარა რეაქციონური დიქტატურა. კლიუჩნიკოვის სიტყვით, თეთრი ტერორი გაცილებით უარესი იყო წითელზე. ეროვნულ იდეის ნამდვილი დამცველია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება, თეთრგვარდიელები კი დიდი ხანია ჰყიდიან რუსეთს. ვრანგელი, ვითომდა ეროვნული იდეის დამცველი, ემხრობოდა პოლონეთს რუსეთ-პოლონეთის ომის დროს, და უცხოელებზე ჰყიდდა რუსეთის გემებს.

კლიუჩნიკოვმა გააბათილა კონრადის დამცველების მტკიცება, თითქოს რუსეთი რეპრესიებით ემუქრებოდეს შვეიცარიას, თუ ვინიცობაა კონრადი გაამართლეს და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მთავრობა არის ყველაზე მტკიცე და პოპულიარული მთელ მსოფლიოში. კლიუჩნიკოვმა აღნიშნა ქვეყნის აღორძინება სიმშილობის შემდეგ, რომელიც შედეგად მოჰყვა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებს და ბლოკადას.

ანტიბოლშევიკური წითელი ჯვარი, რომლის თავმჯდომარეთაც მოწამე იყო, გადაიქცა, მისი სიტყვით, პოლიტიკურ აგიტაციის ბუდეთ.

შემდეგ კლიუჩნიკოვმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანია სავსებით განადგურებულია ეკონომიურად და არ შეუძლია იარსებოს კომუნისტური რევოლუციის გარეშე. კლიუჩნიკოვის ჩვენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასამართლოზე და დამსწრე საზოგადოებაზე.

კონრადის განზრახული ჰქონდა არა მარტო ვოროვსკის მოკვლა.

იმ სასტუმროს მსახურმა, სადაც მკვლელობა მოხდა, აღნიშნა, რომ ვოროვსკის მოკვლის შემდეგ კონრადიმ გა აცხადა, რომ მან მოკლა რუსები. ამით ამტკიცებენ, რომ კონრადის განზრახული ჰქონდა არა მარტო ვოროვსკის მოკვლა.

მთავრობა „ბრძოლის ველზე“

სოციალ-დემოკრატიული „წყალობა“.

ბერლინი. 10 ნოემბ. მუშა ტორიენი, რომელსაც ჰამბურგის აჯანყებაში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, „შეწყალდა“ პრეზიდენტმა ებერტმა, რომელმაც სიკვდილით დასჯა 10 წლის კატორღით შეუცვალა.

მბეჭდავების გაფიცვა.

ბერლინი. 10 ნოემბ. მბეჭდავების გაფიცვის გამო საღამოს გაზეთები გარდა „ფორვერტსისა“ და „დოიჩე ცაიტუნგისა“ არ გამოსულა.

შტრეზემანის განცხადება

ბოლშევიზმი ვრცელდება.

ლონდონი. 12 ნოემბ. (დასაწყისი არ არის მიღებული).. შემდეგ შტრეზემანმა სთქვა, რომ გერმანიაში სულ უფრო და უფრო ვრცელდება ბოლშევიზმი. შეეხო რა ყოფილ კრონპრინცის დაბრუნებას, შტრეზემანმა განაცხადა: „თუ რესპუბლიკა იმდენათ სუსტია, რომ ვერ გაუძლებს გერმანელ მოქალაქეს ყოფნას გერმანიის მიწაზე, მაშინ იგი რესპუბლიკა არ არის“.

კანცლერი პირადათ იმ აზრისაა, რომ თუ ყოფილ კრონპრინცს სურს გერმანიაში დაბრუნება, გერმანიის ხალხმა ხელი უნდა შეუწყოს ამას. კანცლერმა თვითონ სთხოვა კოალიციონურ კაბინეტს ყოფილ კრონპრინცის დაბრუნების ნებართვა, რადგან მას სურდა, რომ ეს ნებართვა მიცემული ყოფილიყო ყველა პარტიის მიერ და რომ თავიდან აეცილებინა ყოველგვარი უთანხმოება პარტიათა შორის ამ საკითხში. დასასრულს, შტრეზემანმა განაცხადა, რომ ყოფილ კრონპრინცის დაბრუნების საკითხი არის მხოლოთ გერმანიის შინაური საკითხი.

შეეხო რა რეინის სეპარატისტულ მოძრაობის საკითხს, შტრეზემანმა კმაყოფილება გამოსთქვა იმ გარემოების გამო, რომ ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა თავი დაანებოს სეპარატისტებისათვის მხარის დაჭერას. შტრეზემანი მიესალმა, აგრეთვე, ინგლისის მთავრობის განცხადებას, რომ რეინის ოლქის გამოყოფა გერმანიისაგან ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

კომპარტიის მოწოდება

ორი დიქტატურის წინააღმდეგ.

ბერლინი. 9 ნოემბერი. ჰიტლერის აჯანყების დროს კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის მოუწოდებს მუშებს დამოუკიდებელ გამოსვლისაკენ, მოწოდება ურჩევს მუშებს შექმნან მოქმედების კომიტეტები, ხელი შეუშალონ ფაშისტურ ჯარების გადაყვანას და გამოაცხადონ საერთო გაფიცვა იმ ადგილებში, სადაც ფაშისტები წინააღმდეგობას უწევენ მუშათა პრესის შევიწროების გაუქმებას და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას. კომუნისტები ფიქრობენ, რომ ფაშიზმი იხრწნება შიგნიდან და აღნიშნავენ, რომ ისინი იბრძოლებენ სეკტის დიქტატურის წინააღმდეგ ისევე, როგორც იბრძოდენ ისინი ჰიტლერის დიქტატურის წინააღმდეგ.

მდგომარეობა ბულგარეთში

აჯანყებაში მონაწილეთა გასამართლება.

ვენა. 10 ნოემ. სოფიიდან მიღებული ცნობების თანახმათ, საველე წესების მოხსნის გამო აჯანყების მონაწილეთ გაასამართლებს ჩვეულებრივი სასამართლო. პლევენის სასამართლომ 11 გლეხს მიუსაჯა ციხეში დამწყვდევა 4 წლიდან 12 წლამდი. მათ ბრალდებოდათ ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

მთლიანი ფრონტით.

ვენა. 10 ნოემბ. მომავალ არჩევნებში ბულგარეთის კომუნისტური და გლეხთა პარტიები გამოვლენ საერთო სიით სოფიის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა სათავეში სდგას ბლაგოევი.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

მოწმეთა დაკითხვა გრძელდება.

ლოზანა. 10 ნოემბერი. სასამართლოს საღამოს სხდომაზე ხუთშაბათს და დილის სხდომაზე, პარასკევს,—გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა დაცვის მხრივ. მეფის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ (ჟენევაში), ლოდიჟენსკიმ წარმოსთქვა დიდი ანტისაბჭოთა სიტყვა და ხაზი გაუსვა იმას, რომ მას წილი არ უდევს მკვლელობაში. სამოქალაქო მომჩივანმა ჩლენოვმა მოითხოვა სასამართლოს დარბაზიდან რუს-ემიგრანტების განდევნა, რომელთაც შეურაცხყოფა მიაყენეს მოწმე—გენერალს დობროვოლსკის

წაქეზება მკვლელობისადმი.

ბერლინი. 10 ნოემბერი. ვოლფის სააგენტოს ლოზანას კორესპონდენტის ცნობით, სამოქალაქო მომჩივნებმა მოითხოვეს შვეიცარიელ მოქალაქის კრაუზის პასუხისგებაში მიცემა, რომელმაც განაცხადა, რომ ის მზად არის ფინანსიური დახმარება გაუწიოს ტერორისტულ აქტებს კომუნისტების წინააღმდეგ. სამოქალაქო მომჩივნები ამ განცხადებაში ხედავენ წაქეზებას მკვლელობისადმი.

პროკურორი იცავდა კრაუზის, მაგრამ სამოქალაქო მომჩივნები დაჟინებით იცავდენ თავიანთ მოთხოვნილებას, და ამასთან ერთად მათ აღნიშნეს პოლუნინის განცხადება იმის შესახებ, რომ თუ ვინიცობაა ბრალმდებელები გამართლებულ იქნენ, ისინი მზად არიან განაახლონ ტერორისტული მოქმედება. სამოქალაქო მომჩივანთა წინადადება პროკურორის დასკვნასთან ერთად გადაეცემა ფედერალურ პროკურორს.

პროცესის გამოძახილი

ინგლისში.

ლონდონი. 9 ნოემბერი. ვოროვსკის მკვლელის პროცესის გამო „დეილი გერალდის“ დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს: „საბრალმდებლო აქტის ტონი ისეთია, რომ თითქოს ეს იყოს საგაზეთო წერილი, რომელიც ბოდიშს ხდის დამნაშავეს. საბრალმდებლო აქტი თითქოს აღნიშნავს, რომ საბჭოთა თანამდებობის პირთა მოკვლა არ არის მკვლელობა“.

საფრანგეთში.

საბრალმდებლო აქტის გაკრიტიკება.

პარიზი. 10 ნოემბერი. საფრანგეთის პრესა ყურადღებით ეპყრობა ვოროვსკის მკვლელის პროცესს. „იუმანიტეს“ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს საბრალმდებლო აქტს და ხაზს უსვამს მის ტენდენციურობას და ანტი-საბჭოთა ხასიათს.

ინგლისი და საფრანგეთი

საფრანგეთის „ქველმოქმედების“ წინააღმდეგ.

ლონდონი. 10 ნოემბერი. „ტაიმს“-ი მკაცრ წერილში, რომელიც მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა მეტად დიდ თანხებს ხარჯავს მცირე ანტანტაზე. გაზეთის სიტყვით, პოლონეთს მიეცა 400 მილ. ფრანკი, რუმინეთს—700 მილ. და სამხრეთ-სლავიას—300 მილ. ამას გარდა საფრანგეთის ფინანსიურმა ექსპერტმა ბერანჟე მოხსენებაში, რომელიც გაუკეთა მან საფრანგეთის სენატს, განაცხადა, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს მისცეს მცირე ანტანტის ქვეყნებს 1 ნახ. მილიარდ ფრანკის რაოდენობის ახალი კრედიტი. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი არავითარ ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ გადაუხადოს ვალები ინგლისს და სხვა ქვეყნებს, თუმცა ბერანჟეს მოხსენებაში იღნიშნული თანხა საკმარისია იმისათვის, რომ საფრანგეთმა გადაუხადოს ინგლისს ვალების პროცენტები.

წერილები ბერლინიდან

ქუჩა სიმშილობს.

მოღრუბლული დილა, სარძევეების წინ დგას ნახევრათ შიშველ ტიტველი ქალების რიგი, სიმშილსა და გაჭირვებას თავისი კვალი დაუჩნევია მათ სახეზე. ქალებს თან მოუტანიათ სკამები, ხელსაქმე, ზოგიერთებს თან ჰყავს თავისი ბავშვები. აგერ, სიმშილისაგან გამხდარი ქალი, სიცივისაგან წელში მოხრილი, ძუძუს აწოვებს პაწია ბავშვს, თან გულში იკრავს, რომ გაათბოს. ტანსაცმელის ნაფლეთები ვერ იფარავენ ბავშვს სიცივისაგან, ისიც საშინლად კანკალებს.

მთელი დღეების განმავლობაში სდგანან ქალები რიგში რომ იყიდონ მარგარინი. მათთან სდგას მუდამ მოღუშული, ბუზღუნა პოლიციელი, რომელსაც თითქო სძულს თავისი ხელობა..

ვინ იცის, შეიძლება მისი ცოლიც იქ სდგას რიგში ..

მოდის გრუზოვიკი, კარტოფილით დატვირთული, ორივე მხრიდან ეცემა ხალხი, ბავშვები ცოცდებიან ავტომობილზე და ყრიან ქუჩაში კარტოფილს, რომელსაც თვალის დახამხამებაში იტაცებენ.

ხედავ, საკმაოთ კარგად ჩაცმული ალბად სახელმწიფო მოხელე, იღებს ქუჩაში რამდენიმე კარტოფილს და იდებს ჯიბეში.

აი, აგერ, მოხუცებული, თმა შევერცხლილი მოხუცი ქალი სცდილობს რაც შეიძლება მეტი მოაგროვოს სხვამ არ წაართვას.

ქუჩა სიმშილობს.

ქუჩაში ხედავ შურისძიებით და სასოწარკვეთილებით სავსე სახეებს.

მთელი დღე, შუაღამემდი ქუჩის კუთხეებში დგომენ ჯგუფებში.

ეს არიან უმუშევრები.

ხშირად ყურს უგდებ ამ დავას.

კომუნისტი, სოციალ-დემოკრატი და ნაციონალ-სოციალისტი, ყველა აქ არიან. კომუნისტი იმარჯვებს.

ზოგჯერ ეს ჯგუფები ერთდებიან, მათ უკვე აღარ აშინებს პოლიცია, და ეცემიან სავაჭროებს. ასე ხდებოდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ბერლინის სხვადასხვა კუთხეებში, გერმანიის მრავალ ქალაქებში.

სავაჭროების დარბევის დროს ხალხს არ მიაქვს ფუფუნების საგნები. იტაცებენ მხოლოდ პურს, კარაქს, სურსათს.

გონს მოსული პოლიცია „აღადგენს წესრიგს“.

მაგრამ პოლიცია ხშირათ მერყეობს, ის არ არის ისე გაბედული, როგორც რამდენიმე თვის წინათ.

პოლიციაც სიმშილობს.

შენებერგში მომხდარ არეულობის დროს პოლიციის მერყეობა განსაკუთრებით აშკარა იყო.

ამას წინათ, ბირჟის ახლო, სასოწარკვეთილმა უმუშევრებმა გააჩერეს რამდენიმე კერძო ავტომობილი და მოინდომეს მათი გადაგდება შპრეეში*) პოლიციელები ემუდარებოდენ საბრალო, სასოწარკვეთილებისაგან გონება დაკარგულ ხალხს არ ექნათ ეს. პოლიციელები მიმართავდენ მათ კაცთმოყვარეობის გრძნობას და რადგან კაცთმოყვარეობა მშიერ უმუშევრებს მეტი აღმოაჩნდათ, ვიდრე სტინესს და პუანკარეს აქვს, პოლიციამ მოაგვარა ეს ინციდენტი, რომელმაც კინაღამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო.

დიდი მაღაზიები ნახევრათ დაკეტილია, მშიერი ქუჩა შიშს გვრის მდიდრებს.

პური 19 ოქტომბერს 620 მილიონი ღირდა, 21 ოქტომბერს—2 მილიარდი 800 მილიონი მარკა ღირს.

ბრძოლის წინ.

აი კიდევ რამდენიმე ფაქტი უკანასკნელი კვირის განმავლობაში მომხდარი ამბების სურათის შესავსებათ.

ფონ-კარმა აუკრძალა ბავარიაში ცხოვრება რუსეთის ოფიციალურ პირებს, რომელთაც საბჭოთა პასპორტები ჰქონდათ, სახელდობრ კრესტინსკის, სტეკლოვის და ციურიუპას მიერ ხელმოწერილი.

„როტე ფანე“-ს მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა, 21 ოქტომბერს ის ისევ დახურეს. რეგულიარულად გამოდიოდა არალეგალური „როტე შტურმ ფანე“.

ამ დღეებში ბრემენში დახურეს კომუნისტური გაზეთი.

ალტონში, დრეზდენში და ბრემენში ხდება მუშების დაპატიმრება. ალტონში 17 ოქტომბერს დაატუსაღეს უმუშევართა კომიტეტი.

მანჰეიმში მოხდა გამოსვლები სიმშილობის ნიადაგზე, გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა 24 საათით (16—17 ოქტ.) პოლიციამ იარაღს მიმართა. მოკლულია 7, დაიჭრა—150.

პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანება მოითხოვს სურსათის რეკვიზიციას (17 ოქტ.)

ბერლინის სახელმწიფო მოსამსახურეები ადგენენ გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა, თუ რეიხსვერი თავს დაესხმის წითელ საქსონიას.

21 ოქტომბერს აახენში გამოაცხადეს რეინის რესპუბლიკა. სეპარატისტებმა ხელში ჩაიგდეს ბელგიის ჯარების მიერ დაკავებული ქალაქი.

მსხვილმა მრეწველებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ვერ მისცემენ მუშებს შრომის ხელფასს.

600.000 მუშა ულუკმა-პუროთ დარჩა.

რას იზამენ ისინი ხვალ?

ხემნიცში (საქსონია) გენ. მიულერის მიერ აკრძალულმა და გაუქმებულმა ორგანიზაციებმა 21 ოქტომბერს გამართეს ყრილობა და დაადგინეს დაუყოვნებლივ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ იმ შემთხვევაში, თუ რეიხსვერმა რაიმე მტრული ნაბიჯი გადადგა მუშური მთავრობის წინააღმდეგ.

როცა მე ვათავებ ამ სტრიქონების წერას, მატყობინებენ, რომ დრეზდენში სროლაა. თუ ეს მართალია, რამდენიმე საათში დაიწყება ბრძოლა.

რასაკვირველია, ცენტრალურ გერმანიის პროლეტარიატი ერთ წუთსაც არ მოითმენს რეაქციონური ბავარიის და თეთრი გენერლების პროვოკაციას.

ფონ-კარი და ცენტრალური მთავრობა. საქსონიის ბლოკადა.

ფონ-კარმა აიძულა რეიხსვერის მეშვიდე დივიზია, რომელიც ბავარიაში იმყოფება, ფიცი დაედვა ბავარიისადმი ერთგულებაში. მან აკრძალა თავდაცვის მინისტრის ჰესლერის და გენერალ ფონ-სიქტის მოწოდებების გამოქვეყნება. მან დახურა, „ახალ განკარგულებამდი“ მიუნხენის ბურჟუაზიული გაზეთი „ალგემაინე ცაიტუნგ“, რომელმაც მოათავსა ბერლინის მთავრობის ეს ოფიციალური დოკუმენტები. საიმპერიო საბჭომ (რეიხსრატმა) უნდა იკისროს შუამავლობა ცენტრალურსა და ბერლინის მთავრობებს შორის მომხდარ კონფლიქტში.

განა შესაძლებელია ცენტრალური მთავრობის ამაზე უდიდესი უძლურების წარმოდგენა?

ფონ-კარი აცხადებს, რომ მას სურს დაიცვას გერმანიის მთლიანობა და განთავისუფლოს ის „მარქსისტული გავლენისაგან“, რომელსაც განიცდის შტრეზემანის კაბინეტი.

ამავე დროს საქსონიაში ხდება რეიხსვერის ნაწილების გადაჯგუფება. რეიხსვერი გერმანიის ყველა რეაქციონურ კუთხეებიდან თავს იყრის საქსონიის სამრეწველო რაიონებში. გენერალი ფლში მოქმედობს კენისბრუკ-ბიშოფსვერდ-დრეზდენის რაიონში; გენერალი ფონ ლედებური—ლეიპციგის მიდამოებში; პოლკოვნიკი ფერენბახი—გოფის რაიონში. 22 ოქტომბერს მეისენში ჯარებმა დახოცეს რამდენიმე კაცი. პირნში გენერალმა ფლშმა უბრძანა ჯარებს ესროლათ მანიფესტანტებისათვის (მოკლეს ერთი).

დრეზდენის ლანდტაგის ტრიბუნიდან ცეიგნერმა 23 ოქტომბერს გამოაშკარავა დიდი კოალიციის მთელი სიყალბე და სიცრუე. ბერლინის მთავრობამ წერილობით აუწყა მას, რომ რეიხსვერის ნაწილების გაძლიერება საქსონიაში მიზნათ აქვს ამ ქვეყნის საზღვრების დაცვა ბავარიის ფაშისტების თავდასხმისაგან.

გენერალი მიულერი კი, საქსონიაში თავმოყრილი რეიხსვერის ნაწილების სარდალი, აცხადებს, რომ ის გამოგზავნილია ცენტრალური მთავრობის მიერ საქსონიაში „კონსტიტუციონური რეჟიმის აღსადგენათ“. ანტი-კომუნისტური მანიფესტის გამოქვეყნების და ციგნერის სახელზე ორი ცნობილი თავხედური წერილის გაგზავნის შემდეგ, გენერალმა მიულერმა დრეზდენის ლანდტაგის შენობის წინ მოაწყო რეიხსვერის ნაწილების აღლუმი: აქ იყო: ქვეითა ნაწილები, არტილერია, კავალერია, ჯავშნიანი ავტომობილები, მესანგრეები და სხვა.

წითელი საქსონიის ბლოკადა მომხდარი ფაქტია. საქსონიის მრეწველები ბოიკოტს უცხადებენ მუშურ მთავრობას.

აღმოსავლეთ პრუსიის და სილეზიის სამხედრო სარდლობამ აკრძალა საქსონიაში კარტოფილის შეზიდვა ეს აკრძალვა მოხსნეს 20 ოქტომბერს; მაგრამ ვაჭრები ისეთ დიდ ფასს მოითხოვენ თავის კარტოფილში (ოქროს კურსით), რომ საქსონიის მუშებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მისი შეძენა, ისე ზღაპრულად დაბალია მათი შრომის ხელფასი.

ბავარიამ აკრძალა საქსონიაში რძის პროდუქტების შეტანა. ბავარიის სასურსათო სამინისტრო სეპარატისტულ პოლიტიკას აწარმოებს.

4.800.000 მცხოვრებზე საქსონიაში 900.000 გაჭირვებული არის. საფაბრიკო მრეწველობაში კვირაში 2 დღეს მუშაობენ. ნახშირის მაღაროებში 24 საათიდან 32 საათამდი კვირაში. ლეიპციგის მიდამოების მაღაროს მუშები სექტემბერში კვირაში იღებდენ 700.000.000 მარკას იმ დროს, როცა რკინისგზით სარგებლობაში მათ ეხარჯებოდათ 500 მილიონი მარკა. ბევრი მუშა იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის ნახშირის ულუფაზე, რადგან არ ჰქონდა საშუალება გადაეხადა გადმოტანის ქირა.

წისქვილებში უკვე აღარ იშოვება ფქვილი.

ხორბლეულის სახელმწიფო საწყობებში ხორბალი 41-ით მეტი ღირს, ვიდრე ბირჟაზე, ბირჟაზე კი ისე ძვირია, რომ არა მარტო მუშებისათვის, არამედ უფრო მეტად უზრუნველყოფილ წრეებისათვისაც მიუწდომელია.

რომ გერმანიაში რუსეთის პური არ შემოდიოდეს, კატასტროფა აუცილებელი შეიქნებოდა.

მდგომარეობა საქსონიაში უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე.

ქალაქი უპუროთ.

ბერლინში არ იშოვება პური. ფურნეებს იცავს პოლიცია, ჯარები. ხდება შეტაკებები. 22-23 ოქტომბერს პოლიცია 4 ჯერ გახდა იძულებული დაეცვა ფურნეები დარბევისაგან, ხშირათ ამას ის ვერ ახერხებს. უმუშევართა ჯგუფები შედიან ფურნეებში და დამშვიდებით ეუბნებიან მეფურნეს: „მოგვეცით პური, თორემ შავი დღე დაგადგებათ“. მათ აძლევენ პურს. სხვა რაიონებში. ფურნეებში შედიან მყიდველები თავისი მილიარდებით, ფურნეები ცარიელი ხვდებათ, მილიარდიანი მყიდველები ბრაზდებიან, ანჩხლობენ.

პური, როგორც ამბობენ, არის, მაგრამ ვაჭრებმა გადამალეს ის სპეკულიაციის მიზნით. დოლარის ფასი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ყოველ დღე ერთი ორათ იზრდებოდა. 15 ოქტომბერს ის ფასობდა 3 600 მილიონი, 23 კი უკვე 70 მილიარდი მარკა. ამისდამიხედვით იზრდებოდა ფასები პურზე. მცხოვრებთა შეძლებულმა ნაწილმა მოასწრო პურის (ფქვილის) თავის დროზე შეძენა, ღარიბები კი დარჩენ მშიერი ქუჩაში.

დიდმა კოალიციამ გააუქმა პურის ბარათები. ეს არის მოქალაქე ჰილფერდინგის ერთ-ერთი რეფორმა. მაგრამ პურზე ბარათების გაუქმების გამო შეძლებული კლასების მიერ პურის მომარაგებამ ღარიბების ხარჯზე ისეთი აშკარა ხასიათი მიიღო, ისეთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, რომ პურის ბარათები აღდგენილი იქნენ 24 ოქტომბრიდან.

შტრეზემანმა ნახა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. სასურსათო მინისტრის პორტფელი მან გადასცა გრაფ კანიტცს, მსხვილ მემამულეს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა ნაციონალისტთა პარტიიდან.

სოციალ-დემოკრატი მინისტრები დასთანხმდენ ამ ვაჟბატონთან თანამშრომლობაზე, მაგრამ კანიტცი უარს ამბობს მათთან მუშაობაზე.

მინისტრად დანიშვნისთანავე კანიტცმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც აცხადებს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „არ დასთანხმდეს არავითარ ზომებზე, რომლებიც საკუთრების საზიანოთ იქნებიან მიმართული“.

ეს იგივე სიტყვებია, რომელსაც ხმარობენ სოფლის მეურნეები და მსხვილი მრეწველები, როცა უარს ამბობენ ქონებაზე ბეგარის გადახდაზე.

ბერლინში არ იშოვება პური. ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები კი, რომელთა ხელშიც არის ძალა-უფლება, ქვეყნის გამოკვების საქმეს ავალებენ ერთ-ერთ მსხვილ მემამულეს!

რ. ალბერტ.

ბერლინი, 26 ოქტომბერი.

*) მდინარეა.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

გრ. მეუნარგიას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ. გრ. გიგინეიშვილი.

—

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის იმ თანამშრომელთასია, რომლებმაც გადაიხადეს ჯამაგირის ერთი პროცენტი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ: ალექსანდრე თურქიამ—7,950, შ. ქართველიშვილმა—6,700, ლიუბა ქებაძემ—2,800, ანნა ჟანომ—2,800, იოსებ პლატაკისმა—800, სტეპანოვმა—5,800, გაბრიელ ბენაშვილმა—6,720, თამრო ჯუმაძემ—1,350, ვიქტორ ლეინმა—8,200, გიორგი ჯილაურმა—3,200, ილია მუსაშჩიკოვმა—7,400, რუბენ ამიროვმა—7,700, ნინა მახარაძემ—7,700, მარია კახიძემ—2,800, ილია გოლდმანმა—8,200, ივანე ანდრონიკოვმა—7,400, მელიქ-შახნაზაროვმა—8,200, ალექსანდრე მენევსკიმ—8,200, ილია ბესტაევმა—7,400, ბუგდანოვმა—6,650, რუბენ ჯაგილოვმა—6 650, სალიაშვილმა—6,650, ჩხეიძემ, მანველიანმა და მარო როსინენკომ თითომ 1,350, დარახჩიევმა—2,800, ბორის სუხკოვმა—800, პარასაშვილმა—4,480, გიორგი ხახუტაშვილმა 2,800, თამარა კარბელაშვილმა—2,800, იოს. ბექანიშვილმა 3920, დავით რუხაძემ—9,240, ჟულიმა—7,400, ვარვარა არსელოვამ—2,460, ანგელინა ცინცაძე 2,460, ჯაკომიამ—1,200, გამრეკელმა—1,200, თარხანოვმა—5,920, ბოლქვაძემ—1,350, ბოჭორიამ—5,400, ტერ-აკოპოვმა—1,350, არუტიუნოვმა—5,400, შიოევამ—1,350, ნიკიფორე ქერიაკოვმა—5,400, ზურაბოვმა—5,400, თამარა იანოვსკაიამ, სოფიო როსტომოვამ და გეგეჭკორმა თითომ 1,350, მურდალიშვილმა—6,200, ელის. გველესიანმა—1,350, მაქსიმოვმა—3,800, ფრიდა ვეჩხაიზერმა—2800, ეკატერინე იუდინმა—1,850, ელ. შახნაზაროვამ—2800, გრიგოლ მესხმა—3360, ბოგდან ევანგულოვმა—6100, დავით კიკნაძემ—4480, ნინა ავალიშვილმა—3100, რაჟდენ ესებუამ—3100, ილია პენტკომ—2800, ივანე როსინსკიმ—1500, აქსენტი აბესაძემ—5 მილ., ელენე ცილმსმა—2800, ხუბეჯიშვილმა—5 მილ., ბაქრაძემ—2200, ნიკოლ. მედვედევმა 6400, გრიგოლ მიროტაძემ—2520, პელაგია ბოკუჩავამ 2460, თურქიშვილმა—1350, მინასოვამ 1350, ვარტანოვმა—800, კუნდუროვმა—800, კარტაშინსკიმ—800, ბარნაბიშვილმა—1700, ლარიკინმა—4480, სააკოვმა—1500, კაპანაძემ—1500, კიკაჩეიშვილმა—1700. სულ—297,500.

—

ამხ. ექიმების ივლიანე ხოფერიასი და ა. გოცირიძის გამოწვევაზე შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთი ჩერვონეცი და ჩემის მხრივ ვიწვევ ტფილისიდან ვარლამ გრიგოლის ძე მესხს და სენაკიდან ჩემს კარგს მეგობარს მასწავლებელ სიმონ ლევანის ძე გულუას.

ექიმი თენგიზ ადამია.

—

გაახლებთ რა ამასთან ერთად ამხ. თაზიშვილის გამოწვევით ორმოცდა ათ მილიონ მანეთს, გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ, ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სოსელიას (ასკანა), დევდარიანს (რკინისგზის სამმართველო), მარტიანე და პროკოფი კილურაძეებს (ოზურგეთი), ამხ. თიკანაძეს და ფიღავას (ტფილისის ალმასკომი), სეფერთელაძეს (ზაჰესი), რკინის გზის ექიმებს: კილურაძეს, ერისთავს და ფირცხალავას.

ტფ. მ.-გ. მილიციის უფროსის თანაშემწე შ. კილურაძე.

—

გაახლებთ ორმოც მილიონ (40 000.000) მანეთს გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ, ამხ. მ. ჩალინგარიძის გამოძახილის გამო („ზარია ვოსტოკა“ № 253-418).

ვ. გურულიშვილი.

—

ამხ. ვ. ჭურულიას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ ოქროს ბეჭედი 120 მილ. მანეთად ღირებული, რის გამო წინადადებას ვაძლევ ამხ. ჭურულიას მის მიერ შემოტანილი 60 მილ. მანეთს გადაუმატოს 60 მილ. მანეთი. ჩემის მხრივ ვიწვევ მე-8 სამილიციო რაიონის უბნის უფროსს ამხ. ილიკო ძიძიგურს, მე-2 სამილიციო რაიონის უბნის უფროსს ამხ. მიშა დანელიას, 1-ლ სამილიციო უბნის თანაშემწე ნ. გეგეჭკორს, ამხ. შალიკო მღლრაძეს, 1-ლ გამსახლის უფროსს ამხ. ლისინოვს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საფინანსო განყოფილების უფროსს ს. შახნაზაროვს, მის მოადგილე ლ. თანიაშვილს, სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ. ნაბახტიანს, ალმასკომის საქართველოს სასამართლოს გამომძიებელს კ. ხოჯაშვილს, მე-9 სამილიციო უბნის უფროსის თანაშემწე მ. დანელიას, მე-3 სამილიციო რაიონის უფროსს ი. ლოლიძეს, ახალ სენაკიდან ამხ. პეტრე ნადარეიშვილს, ს. თურქიას, ვლ. მარკელავას, გ. გვაძაბიას, კალისტრატე ლომიას, კირილე ლომიას, ბაგრატ გოგინავას, ტარიელ სიჭინავას, ა. ფიჩულიას, ერმინე შუშანიას. ზუგდიდის მაზრიდან ამხ. მამანტი მიმინოიშვილს. ქ. სენაკის მრეწველობიდან პეტრე დებუაძეს, ილია ნაჭყებიას, გრიგოლ ძიძიგურს, არსენ ცხაკაიას, ხარიტონ ქაჩიბაიას, ილია იამიდს, მიხა გაბესკირიას, ილიკო ფეიფილაძეს, იოანა ხეხიას, სამსონ ქიჩიბაიას, გიორგი ცაავას, დომენტი ცაავას, სამსონ თელიას და ალექსანდრე აფხილავას.

ილ. ხუნწარია

შემოვიდა 10 ნოემბერს:

გ. გიგინეიშვილი, 1 ჩერვონეცი, შამშე ლეჟავა 1 ჩერვონეცი შრომის სახ. კომისარ. მუშა მოსამსახურეებისაგან 297,500,000 მანეთი თენგიზ ადამია 10.000.000 მან. შ. კილურაძე 50 000.000 მან. ვ. გურულიშვილი 100.000. მან. ი. ხუნწარია 1 რგოლი გატეხილი ოქროს ბეჭედი.

სულ 1 რგოლი გატეხილი ოქროს ბეჭედი, 2 ჩერვონეცი 547.500.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 317 ჩერვონეცი, 9 ნახევარი გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახევარი ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 11 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 3 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი და 12.742 847 000 მანეთი.

ოქტომბრის დღესასწაულის გამოძახილი

უღრმესი სიყვარული დიდებულ ბელადის მიმართ.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ლონდონში მყოფ საკავშირო რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობისაგან მიიღო ამხ. რაკოვსკისა და აგრეთვე ოსმალეთში მყოფ სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენელ ამხ. სურიცის ხელმოწერილი დეპეშები, რომლითაც ისინი თხოულობენ გადაეცეს ამხ. ლენინს უღრმესი სიყვარული და ის ღრმა რწმენა, რომ ამ უახლოეს დროში მსოფლიო პროლეტარიატის რაზმები კვლავ იხილავენ თავის ბელადს მებრძოლის პოსტზე.

დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ.

პარიზი. 10 ოქტომბერი. შრომის გენერალური ფედერაცია მოუწოდებს მუშებს მონაწილეობა მიიღონ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში, რომელიც დანიშნულია 11 ნოემბრისათვის პარიზსა, ლილსა, ბორდოსა, ლიონსა, სტრასბურგსა, ტულუზასა და რენში.

სხვადასხვა

ინგლისი

არ არის ერთსულოვნება.

ლონდონი. 10 ნოემ. კონსერვატორებს შორის არ არის ერთსულოვნება იმ საკითხის შესახებ, რომ არის თუ არა საჭირო დაინიშნოს ახალი არჩევნები ეხლანდელ მომენტში. მემარცხენე პარტიები უკვე შეუდგენ მზადებას არჩევნებისათვის. ლიბერალები ქმნიან საარჩევნო ფონდს, მათ იმედი აქვთ, რომ შეაგროვებენ ერთ მილიონ გირვ. სტერლინგს.

რუმინეთი.

სავაჭრო მოლაპარაკების განახლება ს. ს. რ. კ.

ოდესა. 12 ნოემბერი. ტირასპოლში ჩავიდა რუმინეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ს. ს. რ. კავშირთან.

პროფინტერნში

აღმასრულებელ ბიუროს სხდომა

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მდივნის ცნობა ნორვეგიის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამას წინათ ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირთა კონგრესმა დაადგინა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის გაერთიანება ქალაქის მრეწველობის მუშათა კავშირთან. ეს დადგენილება კონგრესმა მიიღო, რადგანაც მიზნათ ჰქონდა მცირე კავშირების გაერთიანება უფრო დიდ კავშირებთან. მაგრამ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი ილაშქრებს ამ დადგენილების წინააღმდეგ, აღნიშნავს რა, რომ მათთან გაერთიანება მას საშუალებას მოუსპობს გასწიოს მუშაობა ჯერ კიდევ შეუკავშირებელ სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს შორის. (ნორვეგიაში მიწა-ტყის მუშაკები წარმოადგენენ 150,000 კაცს, ხოლო შეკავშირებულია მხოლოდ დაახლოვებით 1,500) ნორვეგიის კავშირის წინაშე ამჟამად სდგას ასეთი დილემა: ან შეუერთდნენ ქალაქის მრეწველობის მუშათა კავშირს, ან გამოვიდნენ სრულიად ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებიდან. სასოფლო-სამეურნეო მუშების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტმა, უკანასკნელ კონფერენციაზე მონაწილეობისაგან არჩეულ დელეგატებთან ერთად, შეიმუშავა სრულიად ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირების ცენტრისადმი მიმართვის ტექსტი, რომელშიაც აღნიშნავს კონგრესის ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზანშეუწონლობას. აღმასრულებელმა ბიურომ დაამტკიცა საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მიმართვის პროექტი და წინადადება მისცა მას მიმართოს ანალოგიური მოწოდებით აგრეთვე ნორვეგიის ყველა მუშებს.

შემდეგ აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა ამხ. კარტაშევის ცნობა რევოლიუციონურ კომუნალური მუშების უკანასკნელი კონფერენციის შესახებ. კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა რუსეთის, საფრანგეთის პოლონეთის და გერმანიის კომუნალურ მუშათა კავშირებიდან. კონფერენციის მთავარ საკითხებს შეადგენდენ: მოქმედების პროგრამის დამტკიცება, საკითხები ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის და ურთიერთობის შესახებ პროფკავშირსა და პარტიებს შორის. მოქმედების პროგრამა, რომლის ძირითადი ტექსტი წარდგენილი იყო რუსეთის დელეგაციის მიერ, მიღებულ იქნა უმნიშვნელო შესწორებებით.

დანარჩენი ორი საკითხის შესახებ გაცხოველებული დისკუსიის შემდეგ მიღებულ იქნა რუსეთის დელეგაციის წინადადება—კონფერენციამ საჭიროთ სცნო კომუნალურ მუშების რევოლიუციონურ კავშირების შესვლა საწარმოვო ინტერნაციონალში (წინათ იყო საფრანგეთის დელეგაციის წინადადება საკუთარი რევოლიუციონური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ) და მოიწონა პროფინტერნის მეორე კონგრესის მიერ დამყარებული ურთიერთობა პარტიებსა და პროფკავშირებს შორის.

მიიღო რა ამხ. კარტაშევის მოხსენება ცნობათ, აღმასრულებელი ბიურო გადავიდა ამხ. კროლის მოხსენებაზე მკვებავთა კავშირის ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესის მსვლელობის შესახებ. რუსეთის მკვებავთა კავშირი მიღებული იყო ინტერნაციონალში ჯერ კიდევ წარსული წლის მარტში. მაგრამ, შემდეგ ინტერნაციონალის გამგეობამ ეს საკითხი გადასინჯა და კვლავ დასვა გადასაწყვეტათ ბრიუსელის კონგრესზე. კონგრესის წინ გამგეობამ წარუდგინა რუსეთის დელეგაციას სამი წინასწარი პირობა ინტერნაციონალში შესასვლელად:

საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის გაშვება, უარის თქმა რევოლიუციონური უჯრედების დაარსებაზე ინტერნაციონალის შიგნით და უარის თქმა აგრეთვე საერთაშორისო რევოლიუციონურ ბეჭდვითი ორგანოების გამოშვებაზე. რუსეთის დელეგაციამ კატეგორიულათ უარი სთქვა რაიმე წინასწარ პირობების მიღებაზე. თვით კონგრესზე რუსეთის კავშირის მიღების საკითხის გარშემო წარმოიშვა სამი მიმდინარეობა: მემარჯვენე ფრთა (ჰოლანდიელები, ბელგიელები და ფრანგები) წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთის კავშირის მიღებისა ყოველგვარ პირობებში. მემარცხენე ფრთა (სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები) ემხრობოდა რუსეთის კავშირის მიღებას, ხოლო ცენტრი მოითხოვდა განსაზღვრულ პირობების შესრულებას. ბოლოს და ბოლოს, 22 ხმით წინააღმდეგ 20-სა რუსეთის კავშირი მიღებულ იქნა ინტერნაციონალში იმის შემდეგ, როდესაც ის დათანხმდა შემდეგი დამატების მიღებაზე: მხოლოდ საერთაშორისო გაერთიანების ორგანოები ასრულებენ მის დავალებებს; აკრძალულია პარალელური ცენტრების შექმნა, დაუშვებელია აგრეთვე ცალკე კავშირების ორგანიზაციული გაერთიანება ინტერნაციონალთან ბრძოლის მიზნით.

აკრძალულია ინტერნაციონალის მომხრე ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო ხასიათის ორგანოების გამოცემა.

ამხ. კროლის მოხსენების გამო აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა დაარსოს კომისია, რომელიც განიხილავს ინტერნაციონალში რუსეთის კავშირის ტაქტიკის საკითხს.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

„ულტიმატუმ“-ის თვითმფრინავთა რაზმის გადაცემა

მოსკოვი. 12 ნოემბერი. 11 ნოემბერს მოსკოვის ჰაეროდრომზე 10.000 მუშის და მუშა ქალის თანდასწრებით საზეიმოთ გადაეცა საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს „ულტიმატუმი“-ს რაზმის 9 თვითმფრინავი, რომელიც აშენებულია რკინის გზელების ფეიქრების, მელითონეების, ნიჟნი ნოვგოროდის, აზერბეიჯანის მშრომელების მიერ. ზეიმი გაიხსნა საავიაციო ნაწილების ალლუმით. ალლუმი მიიღო ამხ. რიკოვმა, რომელმაც აღნიშნა მშრომელების მიერ საკუთარი საშუალებებით თვითმფრინავების აშენების დიდი მნიშვნელობა და მოუწოდა საჰაერო ფლოტის დახმარებისაკენ. პროფკავშირების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მომავალშიაც მზათ არიან ხელი შეუწყონ საჰაერო ფლოტის გაძლიერებას.

ახალი კანონ-პროექტი მზრუნველობის შესახებ.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მზრუნველობის შესახებ ახალი კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მზრუნველობას ისეთ პირებზე, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლათ განაგონ თავიანთი საქმეები და მზრუნველობით ვალდებულების უმეტეს ნაწილს აკისრებს საზოგადოებრივ, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს. პროექტი უფლებას აძლევს იმ პირებს, რომლებიც ლებულობენ ბავშვებს ალსაზრდელათ, ჩარიცხონ ისინი თავიანთ ოჯახში, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

საკავშირო ცაკის მესამე სესია

ადგილობრივი ფინანსების დებულების განხილვა

მოსკოვი. 10 ნოემბერი. გუშინდელ სხდომაზე საკავშირო ცაკის სესიამ დაიწყო ადგილობრივი ფინანსების დებულების განხილვა. ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ დებულება ადგილობრივ ფინანსების შესახებ ჯამს უკეთებს მთელს პოლიტიკურ ფინანსიურ დეცენტრალიზაციას, რომელიც დაიწყო 1921 წელს, და წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის უმთავრეს საბუთს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკოლხტო ბიუჯეტს (დამახინჯებულია) . . . ორგანიზაციის, რომელიც ლებულობს საკუთარ ცხოვრებაში მთელ რიგ საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრის უფლებას.

სოლქო ბიუჯეტი ნიადაგს უმზადებს „ვოლოსტ“—კომუნის ორგანიზაციას და შეადგენს გამოსავალ პუნქტს სახელმწიფო კომუნის შესაქმნელად.

ს. ს. რ. ქ. საფინანსო პოლიტიკა

ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხის შემდეგ, ამხ. სოკოლნიკოვი გადადის ს. ს. რ. კ. საფინანსო პოლიტიკაზე საერთოდ. „ჩვენ შევეძლება მტკიცე სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნა მხოლოდ მტკიცე ვალიუტის—ჩერვონეცის დაწესების შემდეგ. წარსულ საბიუჯეტო წელს ჩვენ გადავედით მტკიცე ვალიუტის—ჩერვონეცის რეჟიმზე. იმავე წელს ჩვენ გადავედით თვიური ბიუჯეტის რეჟიმზე. დაწყებულ ახალ საბიუჯეტო წლის პირველ მეოთხედში ჩვენ პირველად შევსძელით მტკიცე სამეოთხედო ბიუჯეტის შექმნა 3 თვისათვის. 1 დეკემბრისათვის ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარმოადგენს მტკიცე წლიურ ბიუჯეტს. 1921 და 1922 საბიუჯეტო წელს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა 900 მილ. ოქროს მანეთს, 1922 და 1923 წელს 1.250 000.000 მან. დაწყებულ ახალ საბიუჯეტო წელს ის შეადგენს არა ნაკლებს 1.750.000 000 ციფრებს, რომელიც ძლიერ დიდია საბჭოთა მეურნეობისათვის. ბიუჯეტის შემდეგ ზრდას ვერ აიტანს სახალხო მეურნეობა. თუ ჩვენ არ გადავცდებით აღნიშნულ საზღვარს, ფინანსთა სახალხო კომისარიატი 100 პროცენტით შეასრულებს თავის მოვალეობას.

ჩერვონეცის სყიდვითი უნარი მტკიცეა

ჩერვონეცის კურსი განუწყვეტლივ იზრდება. მარტში ჩერვონეცში აძლევდენ 3,67 დოლარს, ანუ 50 ფრანგ. ფრანკს., ეხლა მასში აძლევენ 4,82 დოლარს, ანუ 80,9 ფრანკს.

ჩერვონეცის სყიდვითი უნარი შინაურ ბაზარზე იმავე დონეზე სდგას, რომელზედაც ოქროს კურსი მსოფლიო ბაზარზე.

უკანასკნელი 3 თვის ბიუჯეტი ამტკიცებს, რომ ჩერვონეცის სყიდვითი უნარი მტკიცეა და ურყევი რჩება. ჩერვონეცის შემოღებამ სამეოთხედად გადასჭრა საკითხი მტკიცე ვალიუტის შესახებ. საბჭოთა ფულის ნიშანს მიეცა დამხმარე ვალიუტის ხასიათი, მომზადებულია ნიადაგი საბჭოთა ფულის შესაცვლელად მტკიცე ფულებით: ნაწილობრივ სახაზინო ბილეთებით, ნაწილობრივ ვერცხლის მანეთებით, რომელთაც ექნებათ დასახურდავებელი ფულის ხასიათი. ამ მხრივ ფინანსთა სახ. კომისარიატი ამუშავებს საბოლოო ფულის რეფორმის გეგმას. თუ არ მოხდა რაიმე არსებითი ცვლილება საერთოთ მდგომარეობაში, ამ გეგმის განხორციელება მომავალ წელში შესაძლებელი გახდება.

ფასების პოლიტიკა

დასკვნაში ამხ. სოკოლნიკოვი შეეხო ფასების პოლიტიკას. მისდევდა რა ლოზუნგებს: „მრეწველობა უნდა იყოს შემოსავლიანი“, ამ პოლიტიკამ დააწესა მომგებიანი ფასები, რამაც უზრუნველჰყო საბრუნავი თანხის ამორტიზაციის და დაგროვების შესაძლებლობა, მაგრამ ამ ფასებს ვერ გაუძლებენ მომხმარებელნი—მუშები და გლეხები. არ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ყველა თანხების ამორტიზაციის მოხდენა, მთელი მრეწველობის ამუშავება და საბრუნავ საშუალებათა დაგროვება. მთავრობამ უნდა სათანადო კორექტივები შეიტანოს ფასების პოლიტიკაში. ამ საკითხის გადაჭრით ჩვენ თავიდან ავიცილებთ კრიზისს და განვაგრძობთ მეურნეობის აღორძინების გზით სიარულს.

პარტიული ცხოვრება

შეფების მუშაობა სოფლად

ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა კომისარიატის გაერთიანებულ კომუჯრედთა თაოსნობით ამა წლის 4 ნოემბერს მოწყობილ იქნა ექსკურსია საშეფო სოფელ ნატახტარში.

დილის 12 საათზე დელეგაცია ჩავიდა ს. ნატახტარში და მივიდა ადგილობრივ ამბულატორიის შენობაში. ეს ამბულატორია შეფის ინიციატივით გახსნილ იქნა საქართველოს წითელ ჯვრის მიერ ერთი თვის წინად ადგილობრივი მღვდლის სახლში. ამბულატორია თითქმის სავსებით უზრუნველყოფილია მედიკამენტებით და უფასო საექიმო დახმარებას უწევს გლეხობას. გამგეთ დანიშნულია გამოცდილი, თავის საქმის ერთგული, კომპარტიის წევრი ფერშალი ამხ. შიუკაშვილი.

დელეგაციის მისვლისას გაიხსნა გლეხთა კრილობა, რომელზედაც მესამედს ქალები შეადგენდა. გახსნისთანავე დელეგაციის გუნდის მიერ შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი. შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ მამულიამ. გლეხები გულმოდგინეთ უსმენდენ ორატორს და ბოლოს შეკითხვებიც იყო ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში გლეხების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. დასასრულ ამხ. მამულიამ განმარტა შეფობის მნიშვნელობა ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების საქმეში. მიღებულ რეზოლიუციაში კრება ერთხმად ადგენს ყოველმხრივ დაეხმარონ გერმანიის მუშებს და გლეხებს.

შეფის მზრუნველობა სოფ. ნატახტარზე გამოიხატა შემდეგში: 1) გახსნილია ამბულატორია; 2) დელეგაციის მიერ დამზადებულ და მიტანილ იქნა მომავალ კლუბის და სამკითხველოს საჭიროებისათვის კომისარიატის თანამშრომლების მიერ შეწირული პოპულიარული ლიტერატურა, სულ 362 წიგნი; 3) გამოწერილია ყველა ქართული გაზეთები; 4) შეძენილია გუთანი, რომელიც მცირე შეკეთების შემდეგ გადაეცემა სოფელს.

შეფის მორიგ ამოცანას ამ ჟამად შეადგენს სოფელში წყალსადენის გაყვანა, რისთვისაც უკვე გაგზავნილ იქნა ტეხნიკოსი, რომელმაც გამოარკვია, რომ მდ. არაგვის მღვრიე და ჯანმრთელობისათვის საშიშ წყლის მაგივრად შეიძლება წყლის გამოყვანა 6 ვერსის მანძილზე მდებარე სუფთა წყაროდან. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში სუფთა ჰიგიენურ წყლით უზრუნველყოფილი იქნება ს ნატახტარის გარდა სამოთხი სხვა სოფელიც. გლეხობა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ საშვილიშვილო საქმისთვის საჭირო მუშაობაში უფასოდ. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 3000 ჩერ. მანეთზე, რაც საჭირო იქნება მხოლოდ მილებისათვის. ყველა ასეთი მზრუნველობისთვის გლეხობა ღრმა მადლობის გრძნობით არის სავსე თავის შეფისადმი.

ინფორმატორი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(12 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	103,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	96,500
ჩეკები —	93,000
დოლარები ეფექტ. —	22,200
ჩეკები	20.500
ოსმ. ქაღ. ლირა	11.500
იტალიური ლირა	650
ფრანგული ფრანკი	975
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნაჩ.

მუშტაიდის ფასები.

პური 1 ხარ.—550 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1350 მ. ცხვრის ხორცი—1,800 ათ. შაქარი რაფინადი 4,850 ათ, ფხვნილი შაქარი 3200 ათ., ყველი—1450 ათ., კარტოფილი—150 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700—800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი—1500 ათ., ცხვრის ხორცი—1900—2 მილ., შაქარი რაფინადი—5.000 ათ., ფხვნილი შაქარი—3,300—3,400. ხრინჯი ალდ. 1,300, მაკარონი—1,600. კარტოფილი—250 ათ.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი რაფინადი. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. რკინეულობა. ჩაი. ასანთი რუს. ლორსმანი. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო) ტეხნიკური ცხიმი.

ოფიციალური ფასები.

რუს. მზესუმზირას ზეთი 4 მ. 60 კ. ფუთში ნეტო-ფრანკო მყიდველის საწყობი.

ნატრის ბისულფიტი—8 მ. 20 კ. ჩერვ. ფუთში, გოგირდის სიმჟავე—3 მან. ჩერვ. ფუთში, შაბი-ხრომი ნატრის—3 მ. 70 კ ფუთში და გოგირდის ნატრი—8 მან. ჩერვ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი როსტოვში.

ფხვნილი შაქარი რუს.—11 მ. 55 კ. ჩერვ. ფუთში. ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

პორტლანდიის ცემენტი 12 მან. 80 კ. ბოჭკაში ფრანკო—სად. ტფილისი.

რუს. ქაღ. მანუფაქტურა „მგლავხლოპკომის“ პრეისკურანტის ფასებში.

შაქარი რაფინადი ჰოლანდიური—16 მან. ჩერვ. ფუთში ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

9 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 28 გარიგება. სულ 92,853 ჩერვ. მან. თანხისა.

„ჩემო“-ში.

ექსპორტი.

ოქტომბრის თვის განმავლობაში შავი-ქვის ექსპორტი, წინა თვესთან შედარებით, უმნიშვნელო იყო. დატვირთულია სულ 3 გემი—„ფრიდა“, „ტანდლა“ და „მეჟი“, რომლებმაც გაიტანეს სულ 3 213 ტონა. წინა თვეებში ექსპორტის რაოდენობა ასეთი იყო; სექტემბერში გატანილია 2995 ტონა, აგვისტოში—51446 ივლისში 51 344, ივნისში—32121, მაისში—24114, აპრილში—39317, მარტში—25878, თებერვალში—25032 და იანვარში—11.461.

ზემოთმოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ ექსპორტის უმცირესი რიცხვი მოგვცა ოქტომბერმა. 5 ნოემბერს გავიდა დატვირთული გემი „ადამელლო“, რომელმაც წაიღო 8,209 ტონა. საერთოდ ნოემბრის ექსპორტი საგრძნობლად გადაემეტება ოქტომბრის ექსპორტს: მარტო ის გემები, რომლებიც ეხლა იტვირთებიან, და გემი „ადამელლა“ (უკვე გასული) გაძლევენ ექსპორტს—40459 ტონას. ამ ჟამად ფოთში იტვირთება 4 გემი, ბათომში—1, სახელდობრ ფოთში—„როზალია“—6500 ბალტიმორაში „ალექსანდრა“—3300 ტონა „სან ჯუზეპე“—7000 ტ. ბალტიმორა და „იუჯენია“—4800 ტ. მერიპორტში; ბათომიდან გავა „ნობლეს“ 4500 ტ. და 500 ტ. პეროქსიდით—ნიუ-იორკში.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აღმოსავლეთ საქართველოში გაწერილი იყო სულ 1809.809 ფუთი ხორბლის ერთეულის ანგარიშით. აქედან თანახმად ა | კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 27 სექტემბრის დადგენილებისა, ზემოაღნიშნულ გადასახადს მოელის შემოკლება 10 პროცენტით უკანონოთ დაბეგვრილ გლეხობის გასანთავისუფლებლათ აღნიშნულ გადასახადისაგან. ასე რომ დარჩება გაწერილი 1 628 824 ფუთი ხორბლის ანგარიშში, რომლიდანაც შემოსულია ა. წ. 8 ნოემბრამდის:

მაზრები:	შემოსულია ფულით ა. წ. 8 ნოემბრამდის.	ფუთი ხორბლის ანგარიშით.	შემოსულია ნატურით.	შემოსულია სულ ხორბლის ანგარიშით.
ბორჩალოს მაზრიდან	700 000.000.000	170 000	—	170 000
ტფილისის „	629 301.650 000	112.109	—	112 109
სიღნაღის „	5 8 911 200 000	138 230	67 634	205.854
გორის „	347.802.000 000	81 543	27.500	109 043
ახალქალაქის „	246 787 347 000	65 978	—	65 978
ახალციხის „	263 951 905 000	59.536	—	59 536
დუშეთის „	162.750 000.000	64 900	—	64 900
თელავის „	135 000.000 000	36 929	—	36 929
სამხრეთ-ოსეთიდან	53 748 800.000	15 060	6.855	21.915
თიონეთის „	36.430 828 000	12 109	5.593	17.702
სულ . . .	3.084.683 730 000	756 394	107 582	863 976

გაწერილ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან უკვე შემოსულია 53 პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა აჭარისტანში

აღწერა დაიწყო პირველ აგვისტოს და დასრულდა ქედის და ხულოს მაზრებში 15 სექტემბერს, ხოლო ქობულეთის და ბორჩხის მაზრებში 20 სექტემბერს. ხულოს და ქედის მაზრიდან დაბრუნებულმა პერსონალი დაეხმარა ქობულეთისა და ბორჩხის მაზრებს, რომ ამ მაზრებშიაც დაჩქარებულიყო მუშაობის დასრულება. 21 სექტემბრიდან დაიწყო მასალების წესრიგში მოყვანა და ასე რეგისტრატორებმა მუშაობა საბოლოოთ მხოლოდ 26 სექტემბერს დაასრულეს. მთელ აჭარისტანში აღწერილია 11332 მეურნეობა, აუწერელი დარჩა ბორჩხის მაზრაში 4 სოფელი, კახაბერის ქურთები, კაპლანოვურახი, ჰარნალი და გონიის ქურთები, დაახლოებით 620 კომლი და ქობულეთის მაზრაში 1 სოფელი—ბალიურდი 50 კომლით.

ეს 5-ე სოფელი მომთაბარე მოსახლეობისაგან შესდგება და აღწერის დროს გაფანტულნი იყვნენ სხვა და სხვა საძოვარ იალაღებზე.

მეურნეობა 1917 წელთან შედარებით გადიდებულა 28.6 პროცენტით, მოსახლეობა—17,75 პროცენტით, ნათესების სივრცე—43,75 პროცენტით, მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა—19,95 პროცენტით, წვრილფეხა საქონლის—29.57 პროცენტით, ხოლო ცხენების რაოდენობამ იკლო 17,9 პროცენტით.

კოოპერაცია

კოოპერატიულ ორგანიზაციათა თათბირი

1 ნოემბერს რუს. კოოპერატიულ ბანკის ტფილისის განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამიერ კავკასიის ყველა კოოპერ. ორგანიზაციებმა.

თათბირი გახსნა რუს კოოპ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გავრილოვმა, რომელმაც ბანკის წარსულ და მომავალი მოქმედების მოკლე მიმოხილვის შემდეგ აღნიშნა, რომ ტფილისის განყოფილებამ დაიწყო თავის მოქმედება ეკონომიურ და ფინანსიურ დაცემის ხანაში და ამიტომ ვერ შესძლო თავისი მოქმედება ფართოთ გაეშალა. ბანკის გამგეობა აღიარებს ტფილისის განყოფილების საჭიროებას ამიერ-კავკასიაში და ამიტომ ყოველ დახმარებას გაუწევს მას ცენტრიდან. შემდეგ ტფილისის განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბატუევი. კრებას განსახილველად წარუდგინა შემდეგი კითხვები: ფინანსიური კავშირი ტფილისის განყოფილებასა და ადგილობრივ კოოპერაციას შორის და სხვა.

კამათის და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი ყველა ამ კითხვების შესახებ.

ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ყველა თავისუფალი თანხები და ყველა მათი ფინანსიური და საბანკო ხასიათის ოპერაციები შეკრებილ იქნეს რუს. კოოპ. ბანკის ტფილისის განყოფილებაში და საქართველოს კოოპ. ბანკში. საქმიანი ურთიერთობა რ. ს. ფ. ს. რ. კოოპბანკის ტფილ. განყოფილებას და საქართველოს კოოპ. ბანკს შორის დამყარებულ იქნეს კეთილ მეგობრობის პრინციპზე და ორგანიზაციულ კავშირზე.

სამთომადნო მუშაკთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

(ჭ ი ა თ უ რ ა შ ი)

მესამე და მეოთხე სხდომები.

საორგანიზაციო მუშაობა. საორგანიზაციო მუშაობა წარსულში დაუახლოვდა მუშათა მასების საჭიროებას. მუშათა და მის ორგანოს პროფკავშირს შორის გაიბა მჭიდრო კავშირი, რაიც შემდეგში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს, ამისთვის საჭიროა ჩატარებულ მუშაობის ანგარიშების სისტემატიურად შედგენა და სწორი ანალიზის გაკეთება მუშაობის შედეგების მიხედვით.

ფართო მასებთან დასაახლოვებლად და მათი საკავშირო მუშაობაში ჩასაბმელად საჭიროა მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა როგორც ქვევიდან ზემოთ მდგომ ორგანოებთან, ისე პირიქით.

კავშირის ფინანსების მოსაწესრიგებლად საჭიროა ყველა ორგანოების ხარჯთ-აღრიცხვის სისტემაზე გადაყვანა.

ფონდები უნდა გამოყენებულ იქნენ პირდაპირ დანიშნულებისამებრ და საფონდო თანხის სხვა საქმეზე დახარჯვა და მეორე ფონდში გადარიცხვა შეიძლება მხოლოდ ყრილობის დადგენილებაზე, ან პროფსაბჭოს დასტურით.

კულტმუშაობა. აქამდე კავშირს არ ქონდა საშუალება კულტურული მუშაობა სათანადო დონეზე დაეყენებია. ამიერიდან ამ საკითხს უსათუოდ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს.

სკოლების არსებული რიცხვი არ არის საკმარისი საჭიროების სრულიად დასაკმაყოფილებლად, და კავშირის წევრების ბავშვები რომ სკოლის გარეთ არ დარჩნენ, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

პროფტეხნიკური განათლების გასავრცელებლად საჭიროა პროფტეხნიკური სკოლების გახსნა.

თუმცა ჩვენი კავშირიდან ტფილისის უნივ. მუშფაკებზე გაგზავნილი არიან კავშირის წევრები, მაგრამ ეს საკმაო არ არის; საჭიროა მუშფაკების მოწყობა ადგილობრივ ჭიათურაში, რისთვისაც უნდა გამოინახოს შესაფერი მასწავლებლები.

კავშირს ჰყავს 450-მდე წ. კ. უცოდინარი წევრი, რომელთა წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ საჭიროა არსებული სკოლების გაფართოვება და სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

შემდეგი მომხსენებელი მოითხოვს მეორე საფეხურის სკოლების გახსნას, საკლუბო მუშაობის და პროფესიონალურ წრეების გაძლიერებას, ლექციების მოწყობას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სათანადო წიგნებით და პერიოდული ლიტერატურით შევსებას.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა. წარსულში დადებულმა კოლექტ. ხელშეკრულებებმა საგრძნობლად ასწია წარმოებებში შრომის ნაყოფიერება—სათანადო სამუშაო ნორმების გამომუშავებით. აუცილებლად დაცული უნდა იქნეს ხელფასის მიღწეული ნორმა.

სპეცებისთვის განსაკუთრებული ხელფასის მიცემის დროს საჭიროა დიდი წინდახედულობა და სიფრთხილე. კავშირმა უნდა მოაგვაროს მუშათა შორის ხელფასის სწორად განაწილების, სამუშაო ნორმების გამომუშავების საკითხი.

ხელშეკრულების დადება უნდა ხდებოდეს ყველა წარმოებებში.

ხელფასის ნორმის დაწესება არ კმარა, საჭიროა მისი თავის დროზე ალების პირობების შექმნა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშებისათვის სპეც-ტანისამოსის დარიგებას.

კავშირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ჭიათურის შავი ქვის დამუშავების კონცესიების გაცემაში, რომ ამით თავიდან აშორებულ იქნას ზოგიერთ არასასურველ პიროვნებების მეპატრონეთ გახდომა.

უნდა მიექცეს ყურადღება სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ჰიგიენურად მოწყობას. კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალური დაზღვევის საქმის სათანადო სიმაღლეზე აყვანას და კოოპერაციის საქმეს, რისთვისაც უნდა ჩატარდეს კამპანია წევრებს შორის.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ, ყრილობამ ამტკიცებს საორგანიზაციო, სატარიფო, კულტურულ მუშაობის შესახებ თეზისებს. ერთხმად მიღებულია მისასალმებელი დეპეშების ტექსტი და რეზოლიუციები.

ცენტ. გამგეობის არჩევანი.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ცენტ. გამგეობაში ყრილობა ერთხმად ირჩევს კომფრაქციის სახელით წარმოდგენილ სიას შემდეგ პირთა შემადგენლობით: 1) ქვიშვილი სამლე, 2) ხვედელიძე სერგო, 3) კუპატაძე ვალიკო, 4) ცანავა, 5) ახობაძე იაკობ, 6) კოჩიანი მაკეინი, 7) ქიალაშვილი გიორგი, 8) გამზარდაშვილი კალისტრატე და 9) ნასარიძე.

კანდიდატებათ: 1) მახვილაძე პლ., 2) გაბრილაძე ლავრენტი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმში არჩეულია: 1) ჯალაბაძე, 2) ბაზაძე, 3) გამზარდაშვილი, 4) ახობაძე, 5) ხვედელიძე, 6) გაბარაშვილი, 7) კრეიცენგერი, 8) ნასიძე.

არჩევნების შემდეგ ყრილობა დახურულად ცხადდება.

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობის საზეიმო გახსნა მოხდა 10 ნოემბერს.

ყრილობას ხსნის ამხ მაჩაიძე. ყრილობის მიერ პრეზიდიუმში არჩეულია შემდეგი ამხანაგები: მაჩაიძე, დიმიტროპულო (ბათომი), პრეობრაჟენსკი, დავიდოვი და რუბცოვი.

მისალმებათა დასრულების შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. ივანიანის მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მომხსენებელმა საკმაოდ ვრცლად გააშუქა საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობა და აგრეთვე დაწვრილებით დაახასიათა დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის დღევანდელი ვითარება. ყრილობამ მოხსენება დიდი ინტერესით მოისმინა. დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების 6 წლის არსებობამ მთელ ქვეყნისათვის ნათელჰყო ს. ს. რ. კავშირის პროლეტარიატის ძლევამოსილება. საბჭ. ხელისუფლებამ აღორძინა მრეწველობა და განამტკიცა სოფლის ქალაქთან კავშირი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სრული საწარმოო ქაოსია. დასავლეთ ევროპის ცენტრში, გერმანიაში რევოლიუციონური ძალები იზრდებიან და ემზადებიან გადამწყვეტ ბრძოლისათვის. ყრილობას მტკიცეთ სწამს გერმანიის პროლეტარიატის სრული გამარჯვება.

მეორე სხდომა.

დილა, 10 ნოემბერი.

კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. მაჩაიძე).

ვიდრე მოხსენების არსებით მხარეზე გადავიდოდა, ამხ. მაჩაიძე მოკლეთ შეეხო მელითონეთა კავშირის ისტორიულ წარსულს, მის წარსულ მოქმედებას მენშევიკების ბატონობის დროს. ქ. ტფილისის მენშევიკური სამდივნო და მისი ხელმძღვანელები გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ მელითონე მუშების წინააღმდეგ და კავშირს გამაგრების საშუალებას არ აძლევდენ. ეს ბარბაროსული ბრძოლა მელითონეთა წინააღმდეგ გამოცხადებული იყო კავშირის რევოლიუციონურ დამსახურებად.

კავშირის მთელ მოღვაწეობაში წითელ ძაფათ არის გატარებული ინტერნაციონალური იდეები და პროლეტარიატის კლასიური ინტერესების დაცვის აზრი.

საქ. გასაბჭოების დროს მელითონეები შეიქმნენ მესაფლავეები მენშევიკურ ბატონობისა. ამჟამად საქ. მელითონეებს მშვენივრად აქვთ შეგნებული ქვეყნის ეკონომიური აღორძინების მნიშვნელობა, რასაც ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობენ.

საორგანიზაციო მუშაობა.

კავშირს ახალ ეკონ. პოლიტიკის

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშები გლეხებს უწევენ დახმარებას

ამხ. გრიგოლ კობიძის გამოწვევით ვწირავ ერთ ჩერვონეცს ერკეთის თემის სოფელ ეწერში სახალხო სახლის ასაგებად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს—**ბათომიდან:** ეტიხი მდინარაძეს, კვიროსი ბერიძეს; **თბილისიდან:** გრიგოლ ცინცაძეს, ბეგლარ ქლენტს, კაკისო უჯმაჯურიძეს, ტარასი კობიძეს, არქიპო და ლადო კობიძეებს, იოსებ კობიძეს, მელიტონ კობიძეს, ამბროსი მახარაძეს, ალექსანდრე ჩიგოგიძეს, აბელი თოდრიას, ილიკო თოდრიას, გერასიმე თოდრიას, ვანო თოდრიას, ძმებს პავლუშა და იესე უჯმაჯურიძეებს, პას ბოლქვაძეს, კოწია ლუტიძეს, სამსონ ბოლქვაძეს; **ჩოხატაურიდან:** ნესტორ კობიძეს და ვანო გეგეჭკორს და მასთან სხვადასხვა ქალაქებში და მაზრებში დაფანტულ ყველა ამ თემის და სოფლის შვილებს, მუშებს და მოსამსახურეებს.

მუშა ნ. კობიძე.

ჩვენი წარმოების გაფართოებისათვის

ორთაჭალაში არსებობს ერთი ბამბის ქარხანა „წითელი პროფინტერნი"-ს სახელობისა. ქარხანას აქვს სამი განყოფილება: ბამბის საჩეჩი, სარჩევი და ჰიგროსკოპიული ქარხნის ტეხნიკურ მოწყობილობაში დაბრკოლებად ჩაითვლება ის, რომ ქარხანას არა აქვს იმოდენა ძალის მოტორი, რომელიც ერთსა და იმავე დროს აწარმოებდეს ქარხნის სამივე განყოფილებებს ამდენი ძალა არა აქვს აქაურ მანქანას. ეს კი საგრძნობ უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ნაყოფიერების სიმცირით. ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს წარმოების ტრესტი, რომელსაც განზრახვა აქვს ახლო მომავალში ქარხანაში დასდგას ელექტრონით მოძრავი მანქანა. უკანასკნელი ერთსა და იმავე დროს აამოძრავებს ყველა განყოფილებებს ქარხნისას და შედეგიც წარმოებისა უფრო ნაყოფიერი იქნება.

ტრესტს აქაურ წარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალა ძალიან ადრე ჰქონდა შეძენილი. ამიტომ იქნება შესაძლებლობა დამზადებულ საქონელზე, რაც შეიძლება, დაკლებული და ხელმისაწვდომი ფასების დადება. უკანასკნელი გარემოება, თუ კი ასეთი ტენდენცია იქნება ყველა ქალაქის წარმოებებს, მაშინ აღებმიცემობის საქმე ძალიან დააახლოვებს ერთმანეთთან სოფლისა და ქალაქის მუშებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს.

მუშკორი ჩხმელი.

მეტი ყაირათობა არის საჭირო.

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ)

მიუხედავათ იმისა, რომ თამბაქოს ნაწარმოებთა დამზადება ამ ბოლო ხანში ძალიან გაიზარდა, თამბაქოს ტრესტი უზარმაზარ ზარალს ღებულობს მაინც, ეს კი ჩვენ მუშებს ცუდ ეკონომიურ პირობებში გვაყენებს. ამ ზარალის მიზეზები სხვათაშორის შემდეგი იყო:

მუშებს ეძლეოდა საქმე „აკორდად", რის გამო მუშა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი პრემია აეღო და თავისი სიჩქარით საქონლის თითქმის მესამედს აფუჭებდა. ამას გარდა არ სწარმოებს ძველებურად მეტად სასარგებლო ვაჭრობა თვით ფაბრიკების კანტორებში და არ არსებობს ერთი საერთო მაღაზია ქალაქის ცენტრში. ამის მაგიერ ყველა ფაბრიკების 6 წარმოები თავმოყრილია ერთ მაღაზიაში, რომელსაც ურიცხვი კანტორები აქვს და რომელიც ამის გამო ძალიან დიდ ხარჯს მოითხოვს თავის 80—**მაღალ ხარისხოვან** („სპეცსტავკიან") თანამშრომლების შესანახად.

ამისათვის მიზან-შეწონილად მიაჩნია შემდეგი:

1) დაწესებულ იქნეს წარმოების საშუალო ნორმა, რომ პრემიების მიღებისათვის არ გაფუჭდეს საქონლის ხარისხი; 2) გაიხსნას ისევ ვაჭრობა ფაბრიკის კანტორებში, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი ქარხნის შტატი (ორი სამი კაცი), 3) გახსნილ იქნას ერევნის მოედანზე ერთი საერთო მაღაზია, რომელსაც საკმარისია ემსახუროს არა უმეტეს ექვსი კაცისა. თუ საქონელი ვერ გასაღდა, როგორც საჭიროა, მოწვეულ იქნეს ხუთი გამოცდილი კომისიონერი, რომელნიც საქონლის გასაღებასთან ერთად შეისყიდიან ადგილობრივად ნედლ მასალასაც ხელსაყრელ ფასებში. ვინიცობაა, მიუხედავად ამ ზომებისა საქონელი მაინც ვერ გასაღდა სასურველ სისწრაფით, მაშინ საჭიროდ მიგვაჩნია გამოიცვალოს რეკლამა ქარხნებში 30 სხვადასხვა სახელობაზე, და შემდეგ რამოდენიმე თვის დაკვირვების შემდეგ გამოუშვათ იმ სახელის საქონელი, რომელსაც მეტი მოთხოვნილება ექნება, რითაც მოვსპობთ ისეთ წვრილ სასპეკულიანტო ფირმებს, როგორიც არის „კავკაზი" და „დიუბეკი", რომელნიც სამწუხაროდ გვიწევენ თავგამოდებულ კონკურენციას და ხშირად ჩირქსაც გვცხებენ.

თამბაქოს ქარხნის მუშა—ბა—შო.

მოგვეცი სესხი და საქმე გაჩაღდება

წინა წერილებში მე ვსწერდი, რომ აუცილებლად საჭირო და სასურველია მოეწყოს საზოგადო სასადილო „წითელი ტრაქტირები".

მართლაც ასეთის საჭიროებას ჩვენ უკვე ვხედავთ.

ახლა ვკითხოთ, ვინ აიღებს თავის თავზე ასეთ მნიშვნელოვან და მძიმე საქმის გაკეთებას?

ვინ უნდა იკისროს ეს, თუ არა სახალხო კვების კავშირმა?

ისინი იტყვიან—„მოგვეცით ჩვენ ამისთვის საღსრები"-ო.

ცხადია, საჭირო საშუალება უნდა გამოვნახოთ.

ჩვენის აზრით, საჭიროა ამისათვის შევქმნათ საპაიო კაპიტალი.

ეს საქმე კი ვისგანაა დამოკიდებული?

ცხადია, თვით მუშებისაგან, მუშათა ფართო მასსებმა უნდა მიიღონ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის ინიციატივა.

მუშებმა, ქალებმა და მამაკაცებმა, საზოგადო სასადილოების მოწყობის საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ.

ამ საქმისათვის აუცილებლად საჭიროა მუშათა მასსების აქტივობა, რადგან ის ანთავისუფლებს მუშაქალს ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის შემდეგ მუდამ სამზარეულოში მუშაობისაგან.

ცენტრში, მოსკოვში ცენტრალურ კავშირთან არსებობს სპეციალური კომისია, ამხანაგობა „სახალხო კვები"-ს სახელით, რომელსაც მიზნად აქვს არა თუ საზოგადო კვების იდეის განსახორციელებლათ პროპაგანდის გაწევა, არამედ თვით თვალყურის დევნა და კონტროლი მისი ცხოვრებაში გატარების დროს. ისვე იძლევა ყოველგვარ რჩევებს და ინსტრუქციებს ამ საქმისთვის სამუშაოდ.

იქ, ცენტრში, ეს საკითხი პირველ რიგში სდგას. ერთი სიტყვით, იბმება საზოგადო სასადილოების ფართო ქსელი.

მუშაობა მთელი რუსეთის მასშტაბით სწარმოებს.

საქმე იქ გაჩაღებულია და აქ, ა.-კავკასიაში ამ მხრივ სამწუხაროდ არაფერი კეთდება.

განა არ შეიძლება აქაც ისე მოვიქცეთ, როგორც იქ იქცევიან ამხ. მუშები?

საჭიროა და დროა საქმეს შეუდგეთ.

საჭიროა ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოსგან დახმარება სესხით.

მუშკორი მახსი.

სად არის ჩვენი ტანსაცმელი?..

(რკ. გზ. სამმართველოს უფროსის საყურადღებოდ)

ამიერ-კავკ. რკ. გზის დამცველ რაზმელებს საზამთრო ტანისამოსი უნდა მიეღოთ 1 ნოემბერს, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთი ჯერაც არა სჩანს, რის გამო ჩვენ რაზმელები ჩამოვრჩით 6 წლის ოქტომბრის დღის დღესასწაულს აღლუმზე გასვლაში. 7 ნოემბერს დილით გვაცნობებს ამიერ კავკ. რკ. გზ. დამც. რაზმის უფროსის თანაშემწე ბელაზოროვი შემდეგს: „ტანსაცმელი უკვე შესყიდულია მოსკოვში და გამოგზავნილია 13 ოქტომბრიდან, რაზედაც დუბლიკატი უკვე მიღებულია"-ო. მაგრამ ტანსაცმელი დღესაც არა სჩანს.

ნეტავ ვიცოდეთ, სად არის ვაგონი ტანსაცმლით? ჩვენი რაზმელები გამოსთქვამენ დიდს უსიამოვნებას იმ პირებზე, რომლებმაც დააბრკოლეს საზამთრო ტანსაცმლის დროზე მიღება. ამასთანავე მოვითხოვთ დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემას და ტანსაცმლის დაჩქარებით დარიგებას, ვისგანაც ეს ჯერ არს.

მუშკორი კინო.

1-ლ საბჭოთა სტამბის ადგილკომის მუშაობა

(მოხსენება მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე).

ყოველივე იმის დეტალურად აღწერა, რის გაკეთებაც ხსენებულ სტამბის ადგილკომს უხდებოდა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, ვიდრე 1 ლ ოქტომბრამდე—ტეხნიკურად შეუძლებელია. აქ მე შევეხები მხოლოდ ზოგიერთ ისეთს ცნობებს, რომელიც ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისათვის.

ეს გახლავთ კულტურული და ეკონომიური მხარეები

კულტურულ სფეროში, ასე თუ ისე, მან მოახერხა, რომ ყველა მუშები კულტურულ-განმანათლებელ კლუბებში წევრებად ჩაეწერინ. მარტო ცენტრო კლუბში და პროფკავშირთა საბჭოს კლუბში 127 მუშა-მოსამსახურე ჩარიცხა, რაც თითქმის 100 პროცენტს შეადგენს. უმრავლესობას ამათგან გამოუწერა გაზეთები: „კომუნისტი", „მუშა", „რაბოჩ. პრავდა" და „მართაკოჩი". მუშფაკულტეტზე და საერთო განათლების კურსებზე ადგილკომს გაგზავნილი ჰყავს 5 მუშა, რომელთაც ერთი საათით ადრე ანთავისუფლებს სამუშაოდან. შრომის სკოლებში და ბავშვთა ბაღებში გაგზავნილი ჰყავს მას მუშა-მოსამსახურეთა 25 ბავშვი. დღემდის სისტემატიურად აწყობდა პოლიტ წრეების კრებებს, აგრეთვე აწყობდა კულტჰიგიენურ თემებზე ლექციებს, ავრცელებდა პოლიტიკურ ხასიათის წიგნებს, აგზავნიდა მუშებს თეატრებში და სხვა.

ეკონომიურ დარგში ადგილკომმა მოახერხა მუშების უმრავლესობის ჩაწერა „მუშკოპის" წევრებად. მასთან ერთად მუშებს ურიგებდა იაფ ფასებში პურსაც, გამოუტანა ფეხსაცმელები დაკლებულ ფასებში. ადგილკომს შეგროვილი და გადებული აქვს შემდეგი შეწირულებანი: 1) ჰაეროპლან „ბოლშევიკის" ასაგებად ივლისში 61 მილ. და 300 ათ. მანეთი; 2) საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ აგვისტოში—97 მილ; 3) გერმანიის მუშების დასახმარებლად, ნოემბერში—239 მილ. და 500 ათ. მანეთი და 4) ჟორჟიაშვილის ძეგლის ასაგებად სექტემბერში—98 მილ. სულ 495 მილ. და 800 ათ. მან.

ამას გარდა საკონფლიქტო კომისიის სხდომებს ადგილკომი მუდამ ესწრებოდა და დღესაც ხელ-ხელ ჩაკიდებული მასთან ერთად მუშაობს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავად.

სტამბის მუშა კ.

— **მწერალთა კავშირის მოხსენებათა სეზონის გახსნა.** შაბათს, 10 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა სრ. საქ. მწერალთა კავშირის მოხსენებათა სეზონი. მოხსენება წაიკითხა კ. კაპანელმა „ტროპიზმი და მარადობის იდეა".

— **ახალგ. პროლეტარული მწერლები.** კვირას 11 ნოემბერს. ს. ა. კ. ცეკას დარბაზში შესდგა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა საორგანიზაციო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გაიოზ დევდარიანი, მდივნობდა ამხ. მაშაშვილი. ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფის დაარსების შესახებ (ჟურ. „მომავალი"-ს ლიტერატურულ ძალებისაგან). მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დევდარიანმა, გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ა. მაშაშვილი, 2) ვ. ლუარსამიძე, 3) ვ. გოგეშვილი, 4) ი. ლისაშვილი, 5) ს. ერთაწმინდელი. ლიტერატურული ჯგუფს ეწოდა „მომავალი".

პროვინციაში

ქ. სურამი

ჯერ კიდევ 6 ნოემბერს, დღის 3 საათიდან იხურება მთელი სავაჭრო და საწარმოვო დაწესებულებები. მეორე დღეს დილის 10 საათი არ იქნებოდა, რომ მთელი სურამის რაიონის სოფლის გლეხობა, ადგილობრივი ებრაელობა, შრომის სკოლა, წითელი არმიელები და პროფკავშირის წევრები თავისი საკუთარი დროშებით მიემართებოდენ ლენინის სახელობის საზაფხულო თეატრის დიდ დარბაზში, სადაც უნდა გამართულიყო მიტინგი. სადღესასწაულო მიტინგს ხსნის ხაშურის პარტიული კომიტეტის სახელით ამხ. ტატე ბუხრიკიძე, რომელიც შესავალში მოკლე მისასალმებელ სიტყვას ამბობს. შემდეგ ლაპარაკობენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ყველა ამხანაგებმა აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა. გაავლეს პარალელი ოქტომბრისა და თებერვლის რევოლუციის შორის. ორატორები შეეხნენ აგრეთვე გერმანიის თანამედროვე მდგომარეობას.

გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია. მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცეკას და ცაკს.

საღამოთი მუშათა კლუბის დარბაზში გაიმართა უფასო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა: „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ", რომელმაც საუცხოვოდ ჩაიარა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია სურამის დრამატიული წრე მთელი თავისი შემადგენლობით. შემდეგ გაიმართა ცეკვა. ღამის 12 საათზე ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა.

ი. გაგოშიძე.

ტყიბულის რაიონი

ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავის სადღესასწაულო მზადებას ადრიდანვე შეუდგა ადგილობრივ კომუჯრედის მიერ არჩეული მომწყობი კომისია. მან საქმეში ჩააბა ყველა ინტელიგენტური ძალები და მათი საშუალებებით თითქმის ყველა თემებში და სოფლებში მოწყობილ იქნა ამ დღისათვის უფასო წარმოდგენები.

7 ნოემბერს დღის 10 საათზე ქუთაისის სადგურიდან დაიძრა სააგიტაციო მატარებელი.

მატარებელი პირველად ჩერდება ორპირის ბაქანზე. ზღვა ხალხი არის შეგროვილი, სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად მოეშურება ხალხი. ყველას სახე გაბრწყინებულია. როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც სუფთად არიან ჩაცმულნი და სადღესასწაულოდ მორთულნი.

საზეიმო მიტინგს ხსნის ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ბუხაიძე. დღესასწაულის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს მოკლედ ამხ. ი. ახობაძე. მიტინგის დახურვის შემდეგ მიდის წარმოდგენა ადგილობრივ მასწავლებლებისა და მოწაფეების მონაწილეობით.

სააგიტაციო მატარებელი მიდის ხრესილისაკენ.

აქაც ბლომად ესწრება მშრომელი გლეხობა და მოზარდი თაობა, მოწაფეები. ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობაზე და მის მონაპოვარზე სიტყვას ამბობს ამხ. ბახტაძე, რის შემდეგ მიტინგი იხურება და მიდის წარმოდგენა, მოსწავლეების მიერ გამართული. გაიმართა ვახშამი.

დაიძრა მატარებელი საწირისაკენ.

აქაც მრავალრიცხოვანი ხალხი არის თავმოყრილი. მიტინგზე სიტყვას ამბობს ქუთაისის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელი ამხ. პ. ტყაბლაძე. აქაც იმართება წარმოდგენა.

შემდეგ მატარებელი მიდის ტყიბულისაკენ. აქ უკვე ჩაუტარებიათ მიტინგი.

„ამაღამ თურმე დიდი ამბავია მაღაროებში. წარმოდგენა იქნება და შემდეგ ვახშამიც"-ო, ამბობენ აქ ხალხში.

ხალხი საბარგო მატარებლით მიდის მაღაროებში.

მაღაროებში უკვე მოურთავთ ეხლახან შეკეთებული კლუბი. გაისმის არღნის ხმაც, ისმის „მრავალ-ჟამიერ" და სხვადასხვა სიმღერები. არის საერთო მხიარულება.

იღება კლუბის კარები. ხალხი აწყდება ერთმანეთს. ყველას უნდა მოხვდეს შიგ. მაგრამ ყველა ვეღარ ეტევა და ბევრი რჩება გარეთ. პროფკავშირის გამგეობის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ახობაძე. მოხსენებას დღესასწაულის მნიშვნელობაზე აკეთებს ამხ. პ. ტყაბლაძე. სიტყვებს ამბობენ სხვებიც.

შემდეგ მიდის წარმოდგენა, რევოლიუციონური შინაარსის პიესა. „თავისუფლების მსხვერპლი".

ვინაიდან დარბაზში ხალხის სიმრავლის გამო დიდი ხმაურობა იყო, ამისათვის სცენიდან მოთამაშეების ხმა არ ისმოდა, რის გამო წარმოდგენამ ვერ დასტოვა მოსალოდნელი შთაბეჭდილება.

წარმოდგენის შემდეგ იმართება ვახშამი.

ალ—ბან.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კომუნისტი"-ს 3 ნოემბრის № 254-ში მოთავსებული იყო განათლების კომისარის მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომაზე. ამ ანგარიშში გაპარულა ასეთი შეცდომა: სტუდენტების რიცხვი უდრის 14,000 კაცს ყველა უმაღლეს სასწავლებელში—უნდა იყოს: 14,000 მოწაფე იმყოფება ტფილისის ყველა ტეხნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებელში კი 11,233 სტუდენტი და არა 14,000.

გან. კომისარიატის საინფორმაციო-სტატისტიკური ქვეგანყოფილება.

4 რაიკომი განმეორებით აძლევს წინადადებას ქვემო დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში (13—15 ნოემბრამდე) გამოცხადდენ რაიკომში: კურგანი ელენე, მკრტჩიან ალექსი, ბუგაევი პეტრე გრ., [illegible], ბაბაიანი ანაიდა ა., კუჯაშვილი მიხეილ ილიასძე, სორკინი მარიამ [illegible], საყვარელიძე პავლე მ., ლომიძე ალექსანდრე ა., [illegible], პატოვი ვლადიმერ ივანესძე—, ჩისტიაკოვი ივანე, [illegible], სანდრე დ., მაკოევი ანდრია გ., ოგანეზოვი ალექსანდრე იაკ., მუსიევი სოფიო, არ., კოჩიევი რომან პ., ჯამარჯიძე გიორგი ბ.;

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ამხანაგები არ გამოცხადდენ რაიკომში ისინი მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან და მათი პირადი საქმეები გადაეგზავნება ტფ. კომიტეტს.

პასუხის მგ. მდივანი—ხაცკევიჩი.
სააღრიცხ. სტატისტ. განყ. გამგე ისააკოვი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში სამშაბათს, 13 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.

მეგვევორიანი, მეგრაბიანი, არაბაჯიანი, გრიშენკო, ხარმაკდარიანი, ალამალოვი, რობლინი, მიქაძე, ნუცუბიძე გალაქტ., ტრაპაიძე (ა. კ. საოლქო კომიტეტი), თალაკვაძე სევასტი, ვოლი, მარკარიანი და გინსბურგი.

ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 4 საუბნო კომიტეტის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე იწვევს **მე 4 საუბნო კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო კოლექტივის** სხდომას. მოიწვევიან: კოლექტივის წევრები—ამხ. განკინი, ოკუჯავა, ა. ესსენი, ეგიაზაროვი, იოსელოვიჩი, რუხაძე და ელისაბედაშვილი.

ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე არუსტანოვი.

განათლების მუშაკთა სახლში

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ს. პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე ამხ. ალავერდიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ნახ. საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის სხდომა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ს. საორგანიზაციო კრება წრეების, რომლებიც მეცადინეობენ ქართულ ენაზე ბუნების-მეტყველება გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკაში. კომისიის მოხსენება მუშაობის გეგმის შესახებ.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღ. 7 ს. საზოგადოებრივ მეტყველების წრე სომხურ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 6 ს. სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე სომხურ ენაზე ამხ. პოლოსიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.
კავშირის საქმეთა მმართველი ბარამიძე.

პროფშიული

13 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, მათემატიკური წრის სხდომა სომხურ ენაზე.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.
საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 22 ნოემბერს, მის მიერ

დანიშნულია შეჯიბრება

ნატეხი ქვების დადგმაზე ზაჰესის მთავარ საგუბრის მოსახულებისათვის—სულ 100 ოთხკუთხი საჟენამდე.

დაწვრილებით ტეხნიკური პირობების ნაწილ-ნაწილობითი დადგმის ვადის, სპეციფიკაციის და ქვების ზომების და შეჯიბრების სხვა პირობების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველდღე 10-დან 12 საათამდე (ტფილისი, ლადო დუმბაძის ქუჩა № 3, ყოფ. ველიამინოვისა). იმ პირთ, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ თეთრაზე (ბლანკზე) დახურულ კონვერტში. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული ქვითარი სრულ განცხადებულ ფასიდან 2 პროც.—ზაჰესის სალაროში შემოტანისა.

წინასწარი საწინდრის შემოტანიდან შეიძლება განთავისუფლებული იქნან მხოლოდ მუშების და გლეხების არტელები კანონიერად აღრიცხვაზე აყვანილნი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

(კრ. 725 2—2) სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე.

ტფილისის აღმასკომის კომენდატურა ამით აცხადებს, რომ 16 ნოემბერს 11 საათზე, აღმასკომის შენობის ეზოში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ნახმარი ინვენტარის და მასალის.

732—1—1

ტფილისის აღმასკომის კომენდატურა ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 ნოემბერს, 1923 წ. დილის 10 საათზე, ბელკის ქუჩაზე № 3

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვანაირი ნივთების, ინვენტარის და მასალების გასასყიდათ.

ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომში ოთახი № 24, დღის 9—3 საათამდე.

732—1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილის

ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო აპარატებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვ. ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (126 25 3)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის

ბ. დ. ხანცისის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18-14.

(46—25—21)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23

78 25—14

დაიკარგა სარეგისტრაციო ფურცელი № 5, მოცემული მე-7 კომის. გიორგი ქვათაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 136—1—1

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი, მოცემული ქ. ოზურგეთის სამხედრო კომისარიატის მიერ 1921 წლის მაისის თვეში ვარლამ გერასიმეს ძე დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 134—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდგან ალავერდი სონ-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 132—2—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 179, პირადობის მოწმობა და სამხედრო მოწმობა სევერიან პავლეს ძე მაღულარიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 139—1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის მიერ მოცემული წიგნაკი ექიმის თანაშეწევისა კონსტანტინე ელისეს ძე ქაჯაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 137—1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის მიერ მოცემული წიგნაკი ექიმის თანაშემწისა,—კარლო ალექსის ძე მარგველაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 138—1—1

დაიკარგა დროებითი მანდატი № 3434, ალექსანდრე ბოგვერაძის სახელზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტიდან მიღებული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 135—1—1

შემოღების შემდეგ მოუხდა ნებაყოფლობითი წევრობის სასარგებლო კამპანიის ჩატარება, რომელმაც ჩინებული ნაყოფი გამოიღო. თითქმის ყველა მეღვინე თანახმა გახდა წევრობისა. ასეთივე ნაყოფი გამოიღო ინდივიდუალურ წევრობისათვის ჩატარებულმა კამპანიამ. ინდივ. წევრობაზე გადასვლამ ბევრად გააუმჯობესა წარსულთან შედარებით კავშირის ფინანსიური მდგომარეობა.

საბოლოოდ არ არის მხოლოდ მოგვარებული საწევრო გადასახადის თავის დროზე შეტანა.

საკავშირო მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ე. წ. საქარხნო კომიტეტებში, რომელთა განახლება პერიოდულად სწარმოებდა.

კავშირის ცენტ. გამგეობასთან შექმნილია უმუშევართა და კულტურული ფონდები. საურთიერთო დახმარების კასას ჩვენი კავშირისას ჰყავს წევრებათ 90 პროცენტი. გაფიცვის ფონდი ჯერ არ შექმნილა.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა.

სატარიფო პოლიტიკის წარმოების დროს ცენტ. გამგეობას მხედველობაში ჰქონდა ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის მდგომარეობა და შესაძლებლობა. კოლექტ. ხელშეკრულების დადების დროს კავშირი ცდილობდა მიეღწია ხელფასის უზრუნველყოფას.

კავშირი ხელს უწყობდა სამეურნეო ორგანოების მიერ დამუშავების მაქსიმალურ ნორმის დაწესებას, როგორც შრომის ნაყოფიერების აუცილებელ პირობას.

სატარიფო ეკონომიურ მუშაობაში ბევრი საკითხი კიდევ გადასაწყვეტია. ბევრ წარმოებაში ხელფასის საკითხი მოგვარებული არ არის; არაა აგრეთვე ყველგან ჩატარებული მუშათა სოციალური დაზღვევა.

ამ ჟამად სატარიფო ხელშეკრულებანი ვრცელდებიან კავ. წევრთა 86.9 პროცენტზე მაშინ, როცა ა. | წ. იანვარში ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ 53,6 პროცენტს, ხელშეკრულების გარეშე დარჩენილია 14.1 პროც., მუშებისა, რომელთა უმრავლესობა მუშაობს სამხედრო უწყების წარმოებაში.

ხშირია ხელფასის დროზე მიუცემლობის შემთხვევები, რაც მეტად ამცირებს ხელფასის რეალურ ღირებულებას. სთვლიდა რა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის მუშაობას ფრიად საყურადღებოდ, ც. გ. პერიოდულად ინსტრუქციებს აძლევდა საკონფლიქტო კომისიების მუშათა ფრაქციას, რომელიც თავის მუშაობას ყოველთვის წარმოების ინტერესებს უთანხმებდა, რითაც აიხსება კონფლიქტების სრული უქონლობა. განვლილ პერიოდში ყველაზე უფრო მწვავედ სდგას საბინაო საკითხი. კავშირის მრავალი წევრი განიცდის ამ მხრივ საშინელ კრიზისს.

უმუშევრობის სრულიად მოსპობის საშუალება კავშირს არ ჰქონდა, კავშირი მხოლოდ აგზავნიდა უმუშევრებს დროებით სამუშაოზე, და ყველაზე გაჭირვებულთ ნივთიერად ეხმარებოდა. ა. | წ. აპრილიდან, შრომის ბირჟის მიერ დახმარების შემოღების შემდეგ, უმუშევართა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ქრონიკა

— **შემნახველ კასების გაფართოება.** ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად შემნახველი კასები ამჟამად არსებობს ა.—კ. ფედერაციის ყველა ადგილებში.

— **სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაცია.** ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა პროექტი სოფლებში სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის დაარსების შესახებ.

— **ოქროს მომგებიან სესხის იძულებითი გავრცელება შეძლებულ კლასის შორის.** ა.—კ. ფინსახკომმა გამოიმუშავა პროექტი ოქროს მომგებიან სესხის იძულებითი გავრცელების შესახებ შეძლებულ კლასის მცხოვრებთა შორის.

— **არც ერთი სტუდენტი აღწერის გარეშე.** სტუდენტთა აღმწერი ცენტრალური ბიურო აცხადებს, რომ სტუდენტების აღწერა გაგრძელდება 16 ნოემბრამდის. აღწერის გარეშე დარჩენილნი სტუდენტები არ იქნებიან დაშვებულნი სასწავლებლებში.

— **პროვინციებში მყოფ სტუდენტების საყურადღებოდ.** ის სტუდენტები, რომელნიც იმყოფებიან პროვინციებში, ან მივლინებულნი არიან სხვადასხვა დავალებათა გამო, უსათუოდ უნდა გამოცხადდენ აღსაწერად 16 ნოემბრამდის. არავითარი მიზეზი აღნიშნულ დროზე გამოუცხადებლობის მხედველობაში არ იქნება მიღებული.

— **9 წლიანი შრომის სკოლები ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ გახსნა 9 წლიანი შრომის სკოლები (ყოფ. რეალური სასწავლებლები) შემდეგ ადგილებში: ქ. ხონში, სამტრედიაში, კულაშში, ჯიხაიშში და ვანში.

— **შრომის სკოლების და ტეხნიკუმების გადაკეთება.** პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე შრომის სკოლები და პირველი და მეორე ჰუმანიტარული ტეხნიკუმები გადაკეთდა 9 წლიან შრომის სკოლებათ.

— **სასკოლო ქსელის გაფართოება ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, ქუთაისის მაზრაში სასკოლო ქსელის გაფართოებისა და მასწავლებელთა შტატის გადიდების შესახებ.

— **შრომის განყოფილებების გამგეთა და ინსპექტორების ყრილობა.** დეკემბრის დამლევს ტფილისში მოწვეული იქნება შრომის განყოფილებათა გამგეების და შრომის ინსპექტორების ყრილობა.

— **შრომის კანონის კოდექსის გაშუქება.** შრომის კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა შრომის კანონთა კოდექსის ოფიციალურათ უკვე განმარტებულ მუხლების პრესაში გაშუქება წერილების სახით და შემდეგ მათი ცალკე წიგნათ გამოცემა.

— **საგლეხო კომიტეტების კვირეული.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა საგლეხო კომიტეტების მნიშვნელობის ფართო მასსისათვის გასაცნობათ, მთელ საქართველოში მოაწყოს კვირეული, კვირეულების კარგათ ჩასატარებლათ კომისარიატი დაიხმარს ყველა საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციებს და ამ დარგის მცოდნე პირებს.

— **მიწები საგლეხო კომიტეტებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა ადგილობრივ საგლეხო კომიტეტებს, კოლექტიური დამუშავების მიზნით, გადაეცეს საფონდო მიწები.

— **თიანეთის მაზრის განაწილება.** სრ. საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა, თიანეთის მაზრის გასანაწილებლათ, დანიშნა კომისია, რომელშიაც შედიან: შრომის სახ. კომისარიატიდან—ამხ. ფანიაშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან—ამხ. როფე, ფინსახკომიდან—ამხ. ღოღოლაძე და განათლების კომისარიატიდან—ამხ. ნადარაია.

— **მშობიარე მოსამსახურეთა შესახებ.** შრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ნუსხა იმ პროფესიათა, რომელთა მოსამსახურე მშობიარეთ ეძლევათ შვებულება მშობიარობის წინ 8 კვირა და მშობიარობის შემდეგ 8 კვირა, ფიზიკურათ მშრომელ ქალების თანაბრათ.

— **საჭიროა მასწავლებლები.** ლანჩხუთის ტეხნიკუმისათვის საჭიროა მათემატიკის ორი მასწავლებელი. პირობები განსაკუთრებულია. ცნობების მიღება შეიძლება ლანჩხუთში ტეხნიკუმის გამგე ქავჟარაძესთან.

— **შრომის ბირჟა.** 10 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—33 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—64, სამუშაოზე გაიგზავნა—45 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო—36. უფლებებში აღდგენილნი იქნენ—11.

შემთხვევები.

— ქურდობა. 8 ნოემბერს, კირკის ქ. № 2, გაქურდეს მოქ. ტარიელ ქურხაიძის ბინა. წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— თავდასხმა. 9 ნოემბერს, ლაზარევის ქუჩაზე, ღამით, ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხენ მოქ. იაკობ ბაბილოიანცს, რომელიც გაძარცვეს და სასიკვდილოთ თავში დასჭრეს.

— ქურდის შეპყრობა. მილიციამ შეიპყრო გიორგი კომანი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. ვიაჩესლავ არუთინოვის ბინის გაქურდვაში.

— ბინის გაქურდვა. 7 ნოემბერს გაქურდეს მოქ. ტალენკოს ბინა (მცხ. ბებუთოვის ქუჩა № 42) წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

ხელოვნება

— **სახ. კონსერვატორიის განყოფილებები გარე უბნებში.** ახლო ხანში დაიწყება მეცადინეობა სახ. კონსერვატორიის განყოფილებებში, რომელნიც იხსნება 1-ლი ავლაბარში და მე-2 ნაძალადევში.

— **კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად.** 17 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების აღსანიშნავად დიდი კონცერტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 114

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქ. ტფილისში არსებული სამუზეუმო ფონდებისა, ეკლესიებისათვის ჩამორთმეული სათანადო კოლექციებისა და რუსეთიდან რეევაკუაციის წესით ჩამოტანილი სამუზეუმო ღირებულებათაგან დაარსდეს ქ. ტფილისში:
ა) საქართველოს საბუნებისმეტყველო მუზეუმი.
ბ) საქართველოს საისტორიო—საეთნოგრაფიო მუზეუმი.
2. საბუნებისმეტყველო მუზეუმი გამოყოფილ იქნეს საქართველოს ახლანდელ მუზეუმიდან.
3. აღნიშნული მუზეუმი სახალხო კომისარიატის მიერ შევსებულ იქნეს ქ. ტფილისში არსებული სხვა საცავებიდან დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.
4. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს საფუძვლად დაედოს, ახლანდელი ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი.
5. აღნიშნული მუზეუმი შევსებულ იქნეს საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი საისტორიო—საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო განყოფილების კოლექციებით და აგრეთვე იმ კოლექციებით, რომელიც ინახება განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ სათანადო საცავებში.
6. განათლების სახალხო კომისრის მიერ შემუშავებულ და სათანადო წესით წარდგენილ იქნეს დასამტკიცებლად საქართველოს საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმების დებულება და შტატი.
7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მასი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

ა. | კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილება.

იმის გამო, რომ 1.000.000 ღირებულების ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნები იბეჭდება აგრეთვე ისეთ ქაღალდზე, რომელსაც არა აქვს წყლის ნიშნები, ამიტომ ყოველგვარ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლათ, კომისარიატი აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების აღნიშნულ კუპიურებს ისეთივე კანონიერი გასავალი აქვთ, როგორც კუპიურებს, რომელნიც დაბეჭდილია წყლის ნიშნების მქონე ქაღალდზე, და ამიტომ მათი მიღება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის და აგრეთვე კერძო წარმოებებისა და პირებისათვის.

ა. | კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის მაგიერ გენკინი.
სავალიუტო სამმართველოს გამგის მაგიერ კალანტაროვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი**

წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს, გამოცხადდენ საუბნო კომიტეტში სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე:

მეგვეორიანი, მეგრაბიანი, არაბაჯიანი, გრიშენკო, ხარმანდარიანი, ალამალოვი, რობლინი, მიქაძე, ნუცუბიძე გალაქტიონი, ტრაპაიძე (ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი) თალაკვაძე სევასტი, მარკარიანი, გინსბურგი, გალკინი და მედვედევი.

ყველა აღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში

გაიმართება ყველა გაზეთების მუშკორების თათბირი.

საკითხების მნიშვნელოვანების გამო დასწრება სავალდებულოა.

ტ. კ. სააგიტ-საპროპ. განყოფ. გამგე მ. ესსენი.

„ზარია ვოსტოკა" სტამბა საშა წულუკიძის № 4.